ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## რატომ გამყარდა ლარი

გვ.6



ხუთშაბათი, 3 მარტი, 2011 №52 (5433) ფასი: 30 თეთრი

# კურორტი „საირმე“ დეპუტატს ერთ ლარად აჩუქეს

გვ.3



## თბილისში საყოველთაო გაფიცვას მოვაწყობთ!

გვ.2

ხელისუფლება პანიკაშია



რაზე მოელაპარაკა ალასანია ბოკერიას

გვ.5

## რევოლუციების დრო დამთავრდა!

## სააკაშვილი ხალხისთვის სროლას ვერ გაბედავს

გვ.4

ის ავტოკრატების სიის სათავეში უნდა იდგეს



## უნდა ჩატარდეს თუ არა არჩევნები ბიომეტრიული პასპორტებით

გვ.6



## დაიწყება თუ არა არეულობები ერევანში

გვ.3



სომხურმა ოპოზიციამ ხელისუფლებას ულიმატუმი წაუყენა



## ვაუჩერების დარიგებით ხელისუფლება თავს მასხრად იგდებს

გვ.11



## სააკაშვილს და მერაბიშვილს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა უნდა აეკრძალოთ

გვ.3

## ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე ფილმი მზადდება

გვ.10

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**7** დევნილთა კონგრესში განხეთქილება ბურჯანაძის გამო მოხდა

**10** ფრენკ ლამპარდი: „ჩელსი“ უბრძოლველად ტიტულს არ დათმობს

**8** ამირან შალიკაშვილი პოლიტიკურ სპექტაკლს დგამს

**2** პრემიერ-მინისტრად მუშაობის პერიოდში ნიკა გილაურმა 42 საჩუქარი მიიღო

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თბილისში საყოველთაო გაფიცვას მოვაწყობთ!

## ხელისუფლება პანიკაშია

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავასთან



*— ბატონო კახა, თქვენ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს პრემიის უკან დაბრუნებას სთხოვთ, რამდენი მიიღო მან პრემია?*

— შევარდნაძის დროს ამას ერქვა „ატკატი", დღეს კი ჰქვია პრემია. 200 ათას ლარიანი პრემია, ეს არა აქვს ნიუ იორკის ყველაზე მდიდარი ბანკის მმართველსაც კი. ჩვენ მოვითხოვთ ამ თანხის აუცილებლად უკან დაბრუნებას და ეზუგბაიას გაგზავნას შესაბამის დაწესებულებაში. საინტერესოა, რისთვის მიიღო მან ამხელა პრემია?!

*— ბატონო კახა, თავისუფალი საქართველო ეროვნულ საბჭოს გამოეყოო და რა ხდება, იქნებ გაგვარკვიოთ?*

— თავისუფალი საქართველო დამფუძნებლების სურვილით ჩამოყალიბდება, როგორც პოლიტიკური პარტია. ჩვენი პარტნიორებისთვის ეროვნულ საბჭოში, სამწუხაროდ, ეს სტატუსი მისაღები არ აღმოჩნდა და მათი თხოვნით ყველამ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თავისუფალი საქართველო გააგრძელებს ბლოკისგან დამოუკიდებლად თავის საქმიანობას.

*— ბატონო კახა, სამარშრუტო მძღოლების გაფიცვა უშედეგოდ დასრულდა, თქვენ აქტიურად იყავით ჩართული ამ პროცესებში, რა ინფორმაციები გაქვთ, რა ხდება დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— ჩვენ ვფლობთ იმ ინფორმაციას, რომ საყოველთაო გაფიცვა გაგრძელდება, ვმუშაობთ სპეციალურ ჯგუფებთან, ვაპირებთ ალტერნატიული პროფკავშირების დაფუძნებას და ამას გავაკეთებთ. თავისუფალმა საქართველომ მოახერხა ეს, არც ერთი პოლიტიკური პარტია ამ პროცესში არ მონაწილეობდა, მარტო ჩვენ შევძელით ბოლო ოთხი დღის მანძილზე პირველი საყოველთაო გაფიცვის გაკეთება. ეს იყო ერთდღიანი, მაგრამ ეს იყო საყოველთაო გაფიცვა, როდესაც თბილისში გაჩერებული იყო მთლიანად მუნიციპალური ტრანსპორტი. ჩვენ ვმუშაობთ, რათა საყოველთაო გაფიცვა იყოს არა მხოლოდ ტრანსპორტზე, არამედ მთლიანად ყველა სხვა სფეროში.

*— საუბარია, რომ ხელისუფლებამ დააკმაყოფილა მძღოლების მოთხოვნებიო...*

— არა, არ დაუკმაყოფილებიათ და ამას მალე დაინახავენ თბილისელები, როდესაც ისევ გაგრძელდება საყოველთაო გაფიცვები.

*— როდიდან დაიწყება ეს გაფიცვები?*

— წინასწარ არ მინდა ამის დაანონსება.

*— მძღოლების დაკავების შესახებ რას იტყვით?*

— დაკავებულები არიან მძღოლები, ჩვენმა ადვოკატებმა ინახულეს ისინი და მინდა გითხრათ, რომ ყველა არის ძალიან მხნედ და ადამიანები, რომლებიც დაპატიმრებამდე იყვნენ ხელისუფლების მომხრე მძღოლები, განთავისუფლების შემდეგ გახდებიან თავისუფალი საქართველოს წევრი მძღოლები. ასე რომ, ხელისუფლება ამითი ვერაფერს ვერ მოიგებს. იცით რა, დაპატიმრების გარეშე, ცემის გარეშე და საერთოდ, წვალების გარეშე ის შედეგი, რაც მიაღწია ეგვიპტელმა და ტუნისელმა ხალხმა, არ იქნება. რა თქმა უნდა, იქნება დაკავებები, დაპატიმრებებიც, მაგრამ შედეგი იქნება სააკაშვილის დამხობა. მე მგონი, მიზანი ამ შემთხვევაში ნამდვილად ამართლებს საშუალებას.

*— ფიქრობთ, რომ ჩვენთანაც არის შესაძლებელი ამ პროცესების დაწყება და როდიდან?*

— საერთოდ კლიმატურადაც ასე ხდება, გაზაფხული ჯერ ეგვიპტეში დგება და მერე საქართველოში. გაზაფხული როცა დგება, ეს ტალღაც მაშინ მოვა. ეს პროცესები აუცილებლად დაიწყება, ეს უკვე გარდაუვალია. ამაში ოპოზიციის კომენტარების აღებაც აღარაა საჭირო, შეგიძლიათ სააკაშვილის ბოლოდროინდელი კომენტარები და მეტსაც გეტყვით, მისი ბოლოდროინდელი ფოტოგრაფიები აიღოთ, ხელისუფლება არის სრულ პანიკაში, ხან ვაუჩერებს არიგებს, ახლა პენსიების ეტაპობრივი ზრდა გაახსენდა. ჩვენ კარგად გვახსოვს, ვაუჩერები ბოლოს როდის დარიგდა საქართველოში. დარიგდა 7 ნოემბრის შემდგომ დღეებში და როდის გაიზარდა ბოლოს პენსიები — ეს იყო საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ის რომ ხელისუფლება არის პანიკაში, ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ.

*— დასავლეთის იმედიც აღარ აქვს სააკაშვილსო...*

— დასავლეთს აქვს ასეთი წესი, ის ყოველთვის არის გამარჯვებულის მხარეს და მას დამარცხებულები არ უყვარს. ამიტომ ჩვენ თუ გავიმარჯვებთ, გარწმუნებთ, რომ ჩვენ მივიღებთ დასავლეთის სრულ და უპირობო მხარდაჭერას.

*— ოპოზიციის ნაწილი რომ არჩევნებისთვის ემზადება?*

— წარმატებას ვუსურვებ მათ კოდექსის გაუმჯობესებაში. საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების პროექტი მოკვდა, საარჩევნო კოდექსი არ გაუმჯობესდება, ეს თქვა მიხეილ სააკაშვილმა ღიად და აკაკი მინაშვილი რას იტყვის მოლაპარაკებების მაგიდასთან, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთელი ეს მოლაპარაკებები უშედეგო იყო.

*— სააკაშვილმა ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ როგორსაც ვისურვებდი, ისეთი ძლიერი ოპოზიცია არ გვყავს ქვეყანაშიო...*

— როგორსაც ისურვებდა სააკაშვილი, ისეთი ოპოზიცია ჰყავს პარლამენტში და როგორსაც არ ისურვებდა, ისეთები პარლამენტის გარეთ მაინც დაგვაყენოს.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ გაზაფხულიდან ეს ბუნტი აუცილებლად იქნება?*

— აუცილებლად იქნება, ეს არის ისტორიის კანონზომიერება და ამას ვერ შეცვლის ვერც სააკაშვილი, ვერც დასავლეთი, ვერც პოზიცია და ვერც ოპოზიცია.

*— იმაზე რას იტყვით, რომ სააკაშვილი დათმობას არ აპირებს?*

— თუ სააკაშვილი არ დათმობს, მოუწევს პასუხისგება. კადაფის აღსასრული, რომელიც ყველანაირი ლოგიკით იქნება შთამბეჭდავი, მისთვის იქნება გაკვეთილი. სანამ კადაფის გაკვეთილს ნახავს, მანამ შეუძლია იუთუბიში დიდი რაოდენობით არის ჩაუშესკუს აღსასრული და შეუძლია უყუროს. ვინც თმობს შედარებით მშვიდობიანად, ისიც მიდის შედარებით მშვიდობიანად, ვინც არ თმობს მშვიდობიანად, მისი აღსასრულიც არ არის ხოლმე მშვიდობიანი. ასე რომ, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ბუნებრივია, ვართ ორიენტირებულები იმ ინიციატივაზე, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს მშვიდობიანად, ხელისუფლება უნდა გადადგეს. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას სწორედ დროებითი მთავრობა, არა სისტემური, რეალური ოპოზიციური პარტიების მიერ და უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები წელს, შემოდგომაზე და ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს შემდეგ, ვისაც აირჩევს.

*— რევოლუციის მომხრე არა ხართ?*

— როგორ არა, ჩვენ ვართ რევოლუციის მომხრე, მშვიდობიანი რევოლუცია იქნება ეს თუ არამშვიდობიანი, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე. ჩვენ, როგორ ვთქვათ სააკაშვილი რა საშუალებებს გამოიყენებს. ეს დამოკიდებულია ძალიან ბევრ საერთაშორისო და შიდა ფაქტორებზე. მთავარი არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ხელისუფლება ავტორიტარულ ქვეყნებში იცვლება მხოლოდ რევოლუციის გზით. არჩევნების გზით შეცვლილი დიქტატურა მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს და არა მგონია, რომ პირველი პრეცედენტი საქართველოში შეიქმნას. მე არა მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობას აქვს უფრო ნაკლები სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ და თავისუფლებისკენ, ვიდრე ეგვიპტელებს და ტუნისელებს. ეს პარტიების გადასაწყვეტი კი არ არის, საქართველოში ეს უნდა მოხდეს თუ არ უნდა მოხდეს. პარტიების გადასაწყვეტი იქნება ის, ამაში მიიღებენ თუ არ მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენ, თავისუფალი საქართველო, მინდა გითხრათ, რომ საპროტესტო აქციების დროს ვიქნებით წინა ხაზზე, ისევე, როგორც ვიყავით ნებისმიერ სხვა საპროტესტო აქციაზე. როდესაც იქნება თბილისის ქუჩებში რევოლუცია, ჩვენ ნამდვილად ვერ დავჯდებით ვერც პარლამენტის და ვერც ცეესკოს შენობაში.

## პრემიერ-მინისტრად მუშაობის პერიოდში ნიკა გილაურმა 42 საჩუქარი მიიღო



საქართველოს პრემიერ-მინისტრად მუშაობის პერიოდში ნიკა გილაურმა სხვადასხვა ქვეყნის და ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან 42 საჩუქარი მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა აქვეყნებს. აღნიშნული ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზას დაგვიანებით, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ მიაწოდა.

გილაურის 42 საჩუქარს შორისაა: წითელი ფაიფურის ლარნაკი, რომელიც პრემიერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ აჩუქა, ცისფერი ფაიფურის ლარნაკი - ყატარის პრემიერსაგან, თეთრი ფაიფურის ლარნაკი - თურქეთის პრემიერსაგან, ხის ყუთში მოთავსებული, ქვაში შესრულებული იერუსალიმის ხედი - ისრაელის ეკონომიკის მინისტრისგან, სფინქსის ლითონის მაკეტი - ეგვიპტის პრემიერ-მინისტრისგან, საკანცელარიო ნივთების ჩასადები ლითონის ყუთი - ნატოს გენერალური მდივნისგან, სამუშაო მაგიდაზე დასადგამი მცირე ზომის ლანგარი - აშშ-ს სახელმწიფო მდივნისაგან, ფაიფურის თეფში - არაბთა გაერთიანებული საამიროების ტახტის მემკვიდრისაგან, საკანცელარიო ნივთების ჩასადები ყუთი - აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტისგან, არაბული სტილის ფაიფურის თეფში - იორდანიის პრემიერ-მინისტრისაგან, ხის ყუთში მოთავსებული მცირე ზომის მათრახი - ყაზახეთის პრემიერ-მინისტრისაგან.

ცნობისთვის: მთავრობის კანცელარიას ნივთების ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებია. **მედიანიუსი**

## მოსამართლეები სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლას ესტუმრნენ



მოსამართლეები საჯარო სკოლებში ვიზიტებს განაგრძობენ. 1 მარტს მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეები სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლას ესტუმრნენ. მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ და მოსამართლეებმა IX-X კლასელ მოსწავლეებს სასამართლოს ფუნქციისა და დანიშნულების, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისა და ზოგადად, მართლმსაჯულების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, სადაც მოსამართლეებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს.

მიმდინარე წელს, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებმა უკვე მეოთხე შეხვედრა გამართეს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. 4 მარტს მოსამართლეები მცხეთის რაიონის კიდევ ერთ საჯარო სკოლას ეწვევიან. მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემათ წიგნი „ბავშვი და სამართალი".

## მიხეილ სააკაშვილს არარეზიდენტმა ელჩებმა რწმუნებათა სიგელები გადასცეს

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გუშინ პრეზიდენტის სასახლეში არარეზიდენტი ელჩები მიიღო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა ცხრა ქვეყნის დიპლომატი მიიღო. პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცეს ალბანეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, მალტისა და განის რესპუბლიკების, ასევე ტაილანდისა და ნორვეგიის სამეფოების, ალჟირის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავსტრალიის თანამეგობრობის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა საქართველოში.

შეხვედრისას მხარეებმა ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების და სხვადასხვა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. **ინტერპრესნიუსი**

## გრიგოლ ვაშაძე არაბთა ლიგის მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას

საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სექტემბერში დაგეგმილ არაბთა ლიგის მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას.

ამის შესახებ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ახმედ აბულ ღეიტთან გრიგოლ ვაშაძის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი ეგვიპტეში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და არაბულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს შეეხო.

— ხაზი გაესვა იმას, რომ მოუხდავად იმისა, თუ ვინ იქნება ქვეყნის ხელისუფლებაში, საქართველოსა და ეგვიპტის თანამშრომლობა გაგრძელდება ისე, როგორც აქამდე იყო, — აღნიშნა ვაშაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## ევროპა ნავთობის დეფიციტის შემთხვევაში იმედებს რუსეთზე ამყარებს

ევროპაში იმედოვნებენ, რომ ნავთობის დეფიციტის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა ახლო აღმოსავლეთში არსებული კრიზისის გამო შეიქმნას, ევროპულ ქვეყნებს ნავთობს რუსეთი მიაწვდის.

„ვესტი.რუ-ს" ცნობით, ამის სესახებ ევროპული ბიზნესის მართვის ასოციაციის ხელმძღვანელმა რაინერ ჰარტმანმა განაცხადა.

— ვიცით, რომ რუსეთს გააჩნია იმის პოტენციალი, რომ მაგალითად, ლიბიიდან ნავთობის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ დანაკლისს ევროპას რუსეთი აუნაზღაურებს, — განაცხადა ჰარტმანმა.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ჰარტმანი პესიმისტურადაა განწყობილი. **ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# კურორტი „საირმე“ დეპუტატს ერთ ლარად აჩუქეს

ნანა მიშელაშვილი

**რა სურთ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს და რისთვის შეიქმნა სპეციალური ბიზნესსაბჭო? აღდგება თუ არა ჩატეხილი ხიდი ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის? ეს კითხვები ბიზნესსაბჭოს პირველი სხდომის შემდეგ გაჩნდა.**

**გუშინ პარლამენტში ბიზნესსაბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა.**



ბიზნესსაბჭო წელს შეიქმნა და მასში პარლამენტის სამი კომიტეტის თავმჯდომარის გარდა, უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, ედპ-ის წევრი გურამ ჩახვაძე, ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები, საგადასახადო ომბუდსმენი და მინისტრების მოადგილეები შედიან.

პარლამენტში დახურული შეხვედრა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. შეხვედრიდან გამოსული დეპუტატები და სხვადასხვა ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პირველი შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასზე საუბარი რამდენიმე მიმართულებით იყო.

დახურულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და საგადასახადო კოდექსის კიდევ უფრო დახვეწას, ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

პარლამენტის თავმჯდომარე ბიზნესსაბჭოს შექმნის მთავარ პრინციპად მოსახლეობის დახმარებას ასახელებს. დავით ბაქრაძე ბიზნესსაბჭოს ძირითად ამოცანად სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობას და თანამშრომლობას ასახელებს.

— ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ ყველა ის საკითხი, რომელიც ბიზნესს აწუხებს და დავეხმაროთ მათ ამ საკითხების გადაწყვეტაში. ბიზნესის დახმარება ეს არ არის თვითმიზანი, ეს გამომდინარეობს სრულიად კონკრეტული ამოცანიდან, ჩვენი მთავარი ამოცანა დღეს ქვეყანაში არის დავეხმაროთ ჩვენს მოსახლეობას იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც აწუხებს ყველა ოჯახს, ეს არის: ფასების ზრდა, უმუშევრობა, ინფლაცია. საუკეთესო წამალი, საუკეთესო გამოსავალი ამ პრობლემების წინააღმდეგ არის ეკონომიკის განვითარება, ბიზნესის ამუშავება, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დავით ბაქრაძემ.

რაც შეეხება უმცირესობის ლიდერს, გიორგი თარგამაძე გუშინ დაშინებულ ბიზნესზე საუბრობდა და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე.

— ეს არ არის ოპოზიციის შენიშვნები, ეს არის განწყობა, რომელიც სუფევს ქართულ ბიზნესში და რომელიც ერთი სიტყვით გამოიხატება, რომ ბიზნესი შეშინებულია. შეშინებას შელოცვით ან გამოლოცვით ვერ უმკურნალებ. ამისთვის აუცილებელია მთელი რიგი რგოლების ინსტიტუციონალური გაძლიერება, ეს ეხება სასამართლოს, არბიტრაჟს, დავების განხილვის საბჭოს და ასე შემდეგ, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერის განმარტებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ისეთი ტიპის მცირე ეკონომიკური გადაცდომების დეკრიმინალიზაცია, რომლის გამოც ბიზნესმენები, მესაკუთრეები, მეწარმეები ძალიან მკაცრად ისჯებიან.

გიორგი თარგამაძის თქმით, პოტენციურად დღეს თითქმის ყველა ქართველი მეწარმე დამნაშავეა და კრიმინალი.

— თუკი ჩვენ ამას მოვსპობთ და ამ პრობლემებს მოვხსნით, ნელ-ნელა ქართულ ბიზნესში ნდობა აღდგება, თუ ამას არ გავაკეთებთ, ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ ქვეყანაში არც მეწარმეობა განვითარდება, არც ქართველი ბიზნესმენები ფულს არ ჩადებენ. თუ ქართველი ბიზნესმენები ფულს არ ჩადებენ, რაც არ უნდა ბევრი იარონ ჩვენი მთავრობის პირველმა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მოსამართლეები აგვისტოს ომში დაღუპულთა დედებს ფინანსურად დაეხმარნენ



დედის დღესთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე და საქალაქო სასამართლოს აპარატის თანამშრომლები აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების დედებს ქალაქ რუსთავში არსებულ საქველმოქმედო ფონდში ესტუმრნენ.

შეგახსენებთ, რომ ფონდი 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული მეომრის ვახტანგ გზირიშვილის დედის, ქალბატონ მარინა გზირიშვილის ინიციატივით დაარსდა.

საქალაქო სასამართლოს თანამშრომლებმა შვილდაღუპულ დედებს და მათ ოჯახებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და ფინანსური დახმარება გაუწიეს. „სამშობლოსთვის თავდადებული გმირების უკვდავი ხსოვნა და მათი ოჯახების მიმართ თანადგომა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა და ვიმედოვნებთ, რომ ასეთი საქველმოქმედო ღონისძიებები მომავალშიც არაერთგზის გაიმართება“ – აღნიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარემ.

# დაიწყება თუ არა არეულობები ერევანში

## სომხურმა ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა

თეა მარხვაი ე



ჩვენს სამეზობლოში სერიოზული პროცესები დაიწყო. აღმოსავლეთში დატრიალებულმა რევოლუციურმა სიომ კავკასიაშიც დაუბერა. ამ სიომ ჯერჯერობით მხოლოდ სომხური ოპოზიცია გამოაცოცხლა.

აქციის ჩასატარებლად სომხურმა ოპოზიციამ 1 მარტი საგანგებოდ შეარჩია. 2008 წლის პირველ მარტს ერევანში სერიოზულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ათეულობით ოპოზიციონერი კი დააპატიმრეს.

წინა წლებში ამ თარიღის ასე მასობრივად აღნიშვნა სომხებმა ვერ გაბედეს. არაბული რევოლუციის სიოთი გამხნევებულებმა კი წელს ეს თარიღი გრანდიოზულად გააპროტესტეს.

როგორც სომხური მედია იუწყება, აქციაზე ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა. აქცია ყურადღების გარეშე არც სომეხ სამართალდამცავებს დაუტოვებიათ. 1 მარტის საღამოს გამოცემა „არმენია თუდეი“ იუწყებოდა, რომ ერევანში შინაგანი ჯარი და ჯავშანტექნიკა იყო შეყვანილი.

შინაგანი ჯარის შეყვანის ფაქტს სხვა სომხური სააგენტოები არ ადასტურებდნენ. თუმცა, ისინი იუწყებოდნენ, რომ ერევნის ცენტრი სამართალდამცავებს ჰქონდათ „ოკუპირებული“.

აქციის სული და გული სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ პეტროსიანი იყო. რომელმაც საგანგებოდ მიმართა საზოგადოებას და ხელისუფლებას ულტიმატუმიც წაუყენა. სომხური ოპოზიცია თავისი მოთხოვნების შესრულებას 15 მარტამდე ითხოვს.

ხელისუფლებისთვის წაყენებული ულიტიმატუმი აქციის მონაწილეებმა მოიწონეს და ერთობლივად დაუჭირეს მხარი. ოპოზიციამ ხელისუფლებას 15 მოთხოვნა წაუყენა.

ოპოზიცია მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები. ამის გარდა ოპოზიცია მოითხოვს დამოუკიდებელი კომისიის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც საერთაშორისო ორგანიზაციებიც უნდა შევიდნენ. ამ კომისიამ კი ის ტრაგიკული მოვლენები უნდა შეისწავლოს, რომელსაც ადგილი 2008 წლის 1 მარტს ჰქონდა.

დაზარელებულებისთვის ოპოზიცია მილიონი დოლარის გამოყოფას ითხოვს. ოპოზიციონერთა განცხადებით, თითოეული დაღუპულის ოჯახს ხელისუფლებამ 100 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს.

ამის გარდა ოპოზიცია მოითხოვს ტელეკომპანია ა1-ის აღდგენას. აღნიშნული ტელეკომპანია ოპოზიციური განწყობისაა.

ჩვენი ოპოზიციის მსგავსად სომხებიც გმობენ ხელისუფლების სამხედრო რიტორიკას. ისინი მოითხოვენ, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაზე მოლაპარაკებები ძველ ჩარჩოებში დაბრუნდეს. და მასში მთიანი ყარაბაღიც იყოს ჩართული.

საქართველოს მსგავსად, როგორც ჩანს, გარე ვაჭრობა სომხეთშიც აკრძალეს. ოპოზიცია გარე ვაჭრობის დაშვებას ითხოვს. სომხები სერიოზულად ნერვიულობენ იმის გამოც, რომ ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო გახდა. ოპოზიცია ამ დადგენილების გაუქმებასაც ითხოვს.

ოპოზიცია რისი ოპოზიცია იქნებოდა, სოციალური თემატიკა რომ არ წამოეწია. ტერ პეტროსიანი და მისი გუნდი ითხოვენ, რომ მინიმალური ხელფასის რაოდენობა 200 დოლარის ეკვივალენტი იყოს. უმწეოთა დახმარება კი სულ ცოტა ასი დოლარი უნდა იყოს. სომხური ოპოზიცია შრომითი კოდექსის შეცვლასაც ითხოვს.

ტერ პეტროსიანი და კომპანია სომხეთის პრემიერ-მინისტრის ტიგრან სარქისიანი გადაყენებასაც ითხოვს. ოპოზიციის მოთხოვნით მასთან ერთად მთელი ეკონომიკური ბლოკი უნდა გადადგეს.

აქციის მონაწილეებმა ამერიკას და ევროკავშირსაც მიმართეს. მათი განცხადებით, ამერიკამ და ევროპამ სომხეთის ხელისუფლების მხარდაჭერა უნდა შეწყვიტოს.

იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება ყველა პირობას შეასრულებს, ოპოზიცია მზადაა ხელისუფლებასთან დიალოგი დაიწყოს.

სომეხი ოპოზიციონერები ხელისუფლებასთან მხოლოდ ერთ თემაზე აპირებენ დალაპარაკებას. ეს არის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დანიშვნა.

როგორც ლევონ ტერ პეტროსიანი განმარტავს, მომდევნო მიტინგი 17 მარტს გაიმართება. იმ დროისთვის ოპოზიციას უკვე ეცოდინება შეასრულებს თუ არა ხელისუფლება მათ მოთხოვნებს. ულიტიმატუმის ვადა 15 მარტს იწურება.

# სააკაშვილს და მერაბიშვილს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა უნდა აეკრძალოთ

შორენა კოწოწაშვილი



**ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და ხათუნა კალმახელიძის მიმართ სანქციების დაწესებას და ევროკავშირის ტერიტორიაზე შეშვების აკრძალვას მოითხოვს.ზაზა ხატიაშვილის ამ მოთხოვნას გუშინ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია: ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის, ქართული აკადემია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოლიდარობა უკანონო პატიმრებს შეუერთდა. უფლებათა დამცველების თქმით, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მართლაც უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში და დემოკრატიის ნიშანწყალი არ არის.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა მიუთითა, სააკაშვილის და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაიწყო ადვიკატთა კორპუსის მიზანმიმართული დევნა, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო.

— საქართველოში საბჭოთა იმპერიის არსებობის 70 წლიან ისტორიაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ იყო მიცემული იმდენი ადვიკატი, რაც დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ბოლო 7 წლის განმავლობაში. ადვოკატების დევნა სააკაშვილის რეჟიმის მიერ არის სახელმწიფო პოლიტიკა და აღნიშნული პოლიტიკის შეჩერება უნდა შეძლოს მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებამ, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. მისი თქმით, უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტის თანახმად, ბოლო 7 წლის მანძილზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს 111 ადვოკატს, რაც არის კატასტროფის მაჩვენებელი.

— საქართველოში ადვოკატთა ძალადობის ფაქტები გრძელდება. სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ადვოკატთა კორპუსის დევნა უნდა შეჩერდეს მსოფლიო ლიდერების და დემოკრატიული ინსტიტუტების დახმარებით, — აღნიშნა ხატიაშვილმა და იქვე მიუთითა, რომ მთელი დემოკრატიული სამყარო მომართულია ქართველ ადვოკატთა კორპუსის დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ საკმაოდ არგუმენტირებული მოთხოვნა ევროკავშირის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბარუზოს სახელზე უკვე მომაზადა. მიმართვაში ნათქვამია, რომ ადვოკატებს საქართველოში ყველანაირ ბარიერს უქმნიან, რათა თავის დაცვის ქვეშ მყოფს არ შეხვდნენ. ამიტომ ადვოკატებს გმირობის ფასად უწევთ პატიმრების დაცვა. ამასთან, ადვოკატები გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან პატიმრებთან შესვლის დროს, მათ დასცინიან, ფეხსაცმელს ახდევინებენ და ა.შ.

— მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მსოფლიო მოუწოდებს სააკაშვილს შეწყვიტოს ადვოკატთა კორპუსის დევნა, ადვოკატების მდგომარეობა მაინც არ იცვლება. ადვოკატების თავისუფლება სააკაშვილის რეჟიმს აღიზიანებს, — აცხადება ზაზა ხატიაშვილი. მისი თქმით, სააკაშვილის რეჟიმის შემაფერხებელი ფაქტორი იქნება, ევროკავშირმა სანქციები დაუწესოს სააკაშვილს და მის მინისტრებს ადვოკატთა კორპუსის დევნის გამო.

— არ შეიძლება, ადვოკატების ასეთი მასობრივი დევნა რომელიმე ლიდერს შერჩეს. თვით ლუკაშენკოს არ ჰქონდა ისეთი მასობრივი დარღვევები ადვოკატთა კორპუსთან მიმართებაში, რასაც ადგილი აქვს სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა და კიდევ ერთხელ მოუწოდა ევროკავშირის პრეზიდენტს, სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის და მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მიმართ ადვოკატთა კორპუსის დევნის გამო მიიღოს სანქციები და მათ აეკრძალოთ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა. ხატიაშვილის აზრით, თუ ევროკავშირი აღნიშნულ სანქციებს მიიღებს, სააკაშვილის რეჟიმი იძულებული გახდება შეწყვიტოს ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნა.

# საააკაშვილი ხალხისთვის სროლას ვერ გაბედავს

## ის ავტოკრატების სიის სათავეში უნდა იდგეს

თეა მარხვაი ე

**გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ „ნიუ იორკ ტაიმსმა“ საქართველოს პრეზიდენტი ავტოკრატების სიაში შეიყვანა. ექსპერტების ნაწილი ამტკიცებს, რომ ამერიკამ საბოლოოდ აიღო ხელი სააკაშვილზე. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე მიიჩნევს, რომ ამერიკა სააკაშვილს მხოლოდ ერთი მიზეზითღა უჭერს მხარს.**

**რა არის ეს მიზეზი, რატომ არის რამაზ კლიმიაშვილის სიკვდილი საეჭვო, რატომ ვერ გაბედავს სააკაშვილი კადაფივით მოქცევას, რა პრინციპით მოქმედებს ამერიკა, ამ საკითხებთან დაკავშირებით ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

ელიზბარ ჯაველიძე:

— ამერიკას თავისი პოზიციები, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში მკაცრად აქვს ჩამოყალიბებული. ეს პოზიციები მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს მსოფლიო იმპერიის შექმნა. ამ იმპერიის სათავეში, რა თქმა უნდა, თავად იქნება. ამ მიზნით მან შექმნა სპეციალური თეორია, რომელსაც ამერიკული ფასეულობები ჰქვია. ამერიკელები ამ ფასეულობებს საყოველთაოდ მისაღებად მიიჩნევენ.

*— რა ფასეულობებზეა საუბარი?*

— თავისუფლება და დემოკრატია. უნდათ ამ ფასეულობების გავრცელება მთელ მსოფლიოში. თავისუფლება და დემოკრატია ძალიან კარგია, მაგრამ ამერიკას აქვს თავისებური მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელები თავად წყვეტენ, რომელ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს დემოკრატია და რომელში არა. ამიტომ ამერიკის თანამედროვე მეთოდები თავისი გავლენის გავრცელებისა კარგა ხანია შეცვლილია. ისინი გავლენის გასაძლიერებლად მშვიდობიან ხერხებს მიმართავენ.

*— რა ხერხებს?*

— მთავარი საყრდენი დღესდღეობით ამერიკისათვის არის სამოქალაქო საზოგადოება. არასამთავრობო ორგანიზაციებზე მოგახსენებთ. ისინი ამერიკის გავლენის გავრცელების უჯრედებს წარმოადგენენ. ამიტომაც აფინანსებენ არასამთავრობოებს ასე გულუხვად. მიხეილ სააკაშვილიც ამერიკული, კერძოდ კი ბუშის პროექტია. ბუში თვლიდა, რომ 50 ქვეყანაში უნდა გაევრცელებინა დემოკრატია. ამ 50 ქვეყნის სიაში მოხვდა ჩვენი ქვეყანაც. ამ პროექტის განსახორციელებლად შეარჩიეს მიხეილ სააკაშვილი. ის არის ამერიკის ხელქვეითი. ამერიკა თავის ხელქვეითებს დიდი მოწიწებითა და კრძალვით არ ეპყრობა. როცა დარწმუნდება, ესა თუ ის პროექტი არ ამართლებს, უკაცრავად გამოთქმისთვის და ჭუჭყიანი ნასკივით მოისვრის გვერდით.

*— რადგან სააკაშვილი ისევ ხელისუფლების სათავეშია, გამოდის, რომ ის ისევ კარგად ჯდება ამერიკულ პროექტში.*

— მიხეილ სააკაშვილი უკვე შვიდ წელზე მეტია, რაც ქვეყნის პრეზიდენტი გახლავთ. ამ პოსტზე მოღვაწეობისას მან პირნათლად შეასრულა ყველა ის დავალება, რაც მას ეკისრებოდა. ამერიკამ ჩვენზე კარგად უწყოდა, რომ სააკაშვილი არ არის დემოკრატიის შუქურა.

*— აბა, რატომ უწოდებდნენ მას დემოკრატიის შუქურას?*

— იმიტომ, რომ ის პირნათლად ასრულებდა ამერიკის დავალებებს. 2008 წელს ამერიკამ ახალი პრეზიდენტი აირჩია. ხელისუფლების შეცვლასთან ერთად შეიცვალა დამოკიდებულება სხვადასხვა პიროვნებებისადმი. შეიცვალა დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართაც. მას, როგორც ბუშის პროექტს, უარყოფითი თვალით უცქერენ. მიუხედავად იმისა, რომ მან ამერიკის ყველა დაკვეთა პირნათლად შეასრულა. მავრმა თავისი საქმე გააკეთა. მავრი ახლა უნდა წავიდეს. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია.

*— თქვენ ამბობთ, მავრი უნდა წავიდეს, როგორც ბუშის პროექტს თეთრი სახლი მას უარყოფითად უყურებსო. ამის მიუხედავად მას ვაშინგტონი ისევ უჭერს მხარს.*

— დღეს ამერიკა სააკაშვილის მხოლოდ ერთი მიზეზის გამო მფარველობს.

*— რა მიზეზია ეს?*

— ვაშინგტონმა სააკაშვილის შესაცვლელად ჯერ ვერ მონახა სათანადო კანდიდატურა.

*— როგორ ადამიანს ეძებენ მის შემცვლელად?*



— ისეთს, რომელიც უფრო უარესად დაანგრევს თავის ქვეყანას. ასეთი ადამიანი, როგორც ჩანს, ჯერ ვერ გამონახეს. ამაზე მეტყველებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მუბარაქი იყო ამერიკის საყრდენი. ახლო აღმოსავლეთში ის ერთადერთი ლიდერი იყო, რომელიც ვაშინგტონის ნებას ასრულებდა. სხვათა შორის, მუბარაქმა თავისი ქვეყანა ეკონომიურად ძალიან გააძლიერა. ეგვიპტელი ხალხი ჩვენზე ბევრად უკეთესად ცხოვრობდა. ამის მიუხედავად ხალხი მაინც გამოვიდა ქუჩაში. ხალხის გამოსვლის შემდეგ მუბარაქის მიმართ თეთრი სახლის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მათ ეტაპობრივად დათმეს მუბარაქი.

*— ეტაპობრივად როგორ დათმეს?*

— გამოსვლები რომ დაიწყო, თავიდან ამბობდნენ, მუბარაქს უნდა გავუგოთ, ის ჩვენი თანამოაზრეა. მერე თქვეს, მუბარაქი უნდა მოელაპარაკოს ოპოზიციას. ამის შემდეგ თქვეს, რომ მუბარაქმა უნდა უსმინოს ხალხს. ბოლოს კი თქვეს, რომ მუბარაქმა უნდა დატოვოს თანამდებობა. ვაშინგტონში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ლიდერის მიმართ.

*— სახალხო გამოსვლები ჩვენთანაც იყო. თუმცა, ამერიკას სააკაშვილისთვის წასვლა არ უთხოვია.*

— ამერიკას საქართველოში გამოსვლები არ უნახავს. ჩვენთან, კი ბატონო, ბევრი ხალხი იყო ქუჩაში, მაგრამ ეს არ იყო სახალხო მღელვარება. ეს იყო უბრალო გამოსვლა. ოპოზიციის ლიდერები ამაყად ამბობდნენ, ამ აქციების დროს ფოთოლიც არ შეგვირხევია და შუშაც არ გაგვიტეხია. პროტესტის ამ ფორმას სახალხო მღელვარებად არავინ არ აღიქვამს. პროტესტზე იმის მიხედვით ხდება რეაგირება, რა ფორმით არის ის გამოხატული. ჩვენთან იყო მშვიდი პროტესტი და რეაქციაც სათანადო იყო. ქართველები ბერძნებზე ცივილიზებული ერი ნამდვილად არა ვართ. მაგრამ ბერძნებმა ძალიან მკვეთრი პროტესტი გამოხატეს. ქუჩაში გამოსულმა ადამიანებმა იქაურობა სულ მილეწმოლეწეს. ხელისუფლება მაშინვე შეიცვალა. ასევე მოხდა ტუნისში. როცა გაცხადდა, რომ ხალხი არაფერს არ დათმობდა, იქაც შეიცვალა ხელისუფლება. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიდის ლიბიაში. კადაფი თანამდებობას არ ტოვებს. მან თავისი მოსახლეობა დააბომბინა. ის უკვე განწირულია. ის ვერსად ვერ ჰპოვებს თავშესაფარს. ამერიკა მზად არის, ძალისმიერი მეთოდებითაც კი ჩაერიოს ლიბიაში მიმდინარე პროცესებში.

*— ეს რამდენად გამართლებულია?*

— არის თუ არა გამართლებული, ეს სხვა საკითხია. ამერიკას აქვს ასეთი პრინციპი — სადაც მშვიდობით ვერ ამკვიდრებს, ე.წ. იქ იარაღს გამოიყენებს.

*— ამ დღეებში ამერიკულმა გამოცემამ „ნიუ იორკ ტაიმსმა“ მიხეილ სააკაშვილი ავტოკრატად მოიხსენია. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი მესიჯია. თქვენ რას ფიქრობთ?*

— სააკაშვილის ავტოკრატად მოხსენიება ძალიან დაგვიანდა. ის ავტოკრატების სიის სათავეში უნდა იყოს.

*— რატომ უნდა იყოს ავტოკრატების სათავეში?*

— იმიტომ, რომ მისთვის არ არსებობს არავითარი ხალხი. სააკაშვილისთვის უცხოა ხალხის ნება. მას ხალხთან ყრუ კედელი აშორებს. ამერიკა მას დიდი ხნის წინ შეცვლიდა. რაკი ის ამერიკის ყურმოჭრილი მონაა, ამის ხათრით ჯერ კიდევ ინარჩუნებს თანამდებობას. მეტი ერთგულების დასამტკიცებლად ის ყველაფერ ეროვნულს სპობს. ებრძვის ყველაფერს, რასაც ზნეობასთან აქვს კავშირი და რაც მთავარია, ისპობა სახელმწიფოებრივი წყობა. ისპობა ჩვენი საზღვრები. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო გაქრება არა მარტო პოლიტიკური რუკიდან, არამედ ფიზიკური რუკიდანაც გაუჩინარდება. ასე რომ, ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

*— რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ?*

— თუ გვინდა, რომ საქართველო გადავარჩინოთ, მაშინ ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და დავიწყოთ მშვიდობიანი რევოლუცია. ამის უფლება ყველას აქვს და ამ მხრივ არც ქართველები არა ვართ გამონაკლისი.

*— იმ შემთხვევაში თუ ხალხი მშვიდობიანი რევოლუციის გზით წავა, რა გარანტიაა, რომ სააკაშვილი კადაფივით არ მოიქცევა?*

— როგორც კი ასეთ რამეს გაბედავს, ის მაშინვე დასრულდება.

*— რატომ გგონიათ, რომ ვერ გაბედავს სააკაშვილი ასე მოქცევას?*

— ის აკვირდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. სააკაშვილი კარგად ხედავს, როგორ უყურებს მსოფლიო კადაფს, რომელიც თავის ხალხს დაუპირისპირდა. ამიტომ მჯერა, რომ ის ვერ გაბედავს კადაფივით მოქცევას. თუ ამას გაბედავს, გარწმუნებთ, რომ თავს წააგებს. ის კადაფზე და ჩაუშესკუზე უარეს დღეში ჩავარდება. შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ თუ რეალურ პროტესტს გამოვახატავთ. თუ გავისუსებით, არაფერი არ გამოგვივა.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა საქართველო გასუსულია? ოპოზიციის ნაწილი ყოველდღიურად გამოხატავს პროტესტს.*

— ეს საკმარისი არ არის. ოპოზიციური პარტიები რაღაც წვრილმანებზე და უმნიშვნელო თემებზე გამოხატავენ პროტესტს. თუ ამ მხრივ არაფერი შეიცვალა, ისევ ამ დღეში ვიქნებით. ყველაფერი კი საქართველოს განადგურებით დასრულდება. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ცნობილი პოლიტოლოგის მკვლელობას დიდი ამბები მოჰყვებოდა, ჩვენთან კიდევ საზოგადოება და ოპოზიცია დუმან.

*— თქვენ რამაზ კლიმიაშვილზე საუბრობთ?*

— მასზე მოგახსენებთ. ოპოზიცია გამოდის და არასერიოზულ ვერსიებზე საუბრობენ. ხან ამბობენ, რომ გაზით მოიწამლა, ხანაც თვითმკვლელობის ვერსიას იზიარებენ.

*— რატომ მიიჩნევთ ამ ვერსიებს არასერიოზულად?*

— იმიტომ, რომ ეს ვერსიები არის ხელისუფლების ვერსიები. არც ერთი ოპოზიციური პარტია არ გამოსულა და არ უთქვამს, რომ რამაზ კლიმიაშვილი მოკლულია.

*— ამის მტკიცებულებები არსებობს?*

— იმაზე მეტი მტკიცებულებები რაღა გინდათ, რაც ამ უცნაურ სიკვდილს უძღოდა წინ. რამდენიმე წლის წინ უცნაურ ვითარებაში დაიღუპა ზურაბ ჟვანია. ხელისუფლება დღემდე ამტკიცებს, რომ ის ბუნებრივი აირით მოიწამლა. იგივეს ამბობენ რამაზ კლიმიაშვილზეც. გურამ შარაძე დღისით და მზისით მოკლეს ქალაქის ცენტრში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ მკვლელობის უკან ხელისუფლება დგას. ხალხს კი ატყუებენ, რომ ის თითქოს ნაცნობმა უსიამოვნების გამო მოკლა. გავიხსენოთ თუნდაც ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ამ ხელისუფლების მიერ არის მოკლული. ეს არის ის თვალსაჩინო მკვლელობები, რომელიც ამ ხელისუფლებას არ უნდა ეპატიოს. ეს ხელისუფლება უნდა გასამართლდეს. მაგრამ რატომ მარტო ხელისუფლება, ოპოზიციის ნაწილიც უნდა გასამართლდეს.

*— ოპოზიცია რატომღა უნდა გასამართლდეს?*

— მე მხედველობაში ის ოპოზიცია მყავს, რომელიც ცხონებულ პატარკაციშვილს ფულებს ცინცლავდა. ხელებში შესცქეროდნენ და ერთგულებას უმტკიცებდნენ. როგორც კი ვითარება შეიცვალა, ყველა გაემიჯნა მას. მათ შეეშინდათ და არ უნდოდათ, ხელისუფლებას პატარაკაციშვილის თანამებრძოლებად ჩაეთვალა. მანამდე კი მის თანამებრძოლობაზე თავს სდებდნენ. ასეთი რამეების პატიება არ შეიძლება.

*— ასეთ რამეებზე თავის დროზე ყველას მოეკითხება.*

— რა თქმა უნდა, მოეკითხება. ყველა უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგება და თავიანთ ცოდვებზე მოუწევთ პასუხის გება. იქამდე ამ ადამიანებმა აქ უნდა პასუხი. განსაკუთრებით იმათ, ვინც სამშობლოს სიყვარულს ამტკიცებენ, სინამდვილეში კი ქვეყანას ძირს უთხრიან. ისინი უნდა გასამართლნენ. მათი სასჯელი საქართველოდან მოკვეთა უნდა იყოს.

## შემოსავლების სამსახურმა სასამართლო დავა წააგო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აპელანტ მარინე გოშაძის სარჩელი დააკმაყოფილა და მას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმა მოუხსნა. საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობისათვის საგადასახადო სამსახურის მუშაკებმა ინდ.მეწარმე ჯერ 5 000 ლარით დააჯარიმეს, შემდეგ დარიცხული თანხა იმავე სამსახურში 500 ლარამდე შეუმცირეს.

მარინე გოშაძემ ჯარიმის მოხსნის მოთხოვნით ჯერ ფინანსთა სამინისტროსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ბათილად ცნო ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ინდ.მეწარმე მარინე გოშაძე საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობისათვის დაჯარიმდა.

„ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ ინდივიდუალური მეწარმის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არასწორადაა შედგენილი როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. მისი დაჯარიმება მოხდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რის საფუძველზეც აპელანტ მარინე გოშაძეს შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმა მოეხსნა”, - განაცხადა სააპელაციო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ მარინე იმერლიშვილმა.

## საქართველოში მესამე და მეტი შვილის დაბადების ფაქტებმა იმატა

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში მესამე და მეტი შვილის დაბადების ფაქტებმა იმატა. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, 2009 წლის განმავლობაში 6153 ბავშვი დაიბადა, რომელიც მშობლებისთვის მესამე შვილია, ხოლო გასული წლის განმავლობაში 6807 მესამე შვილის დაბადება დარეგისტრირდა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს ცნობით, ბოლო ორ წელიწადში მოიმატა ოჯახში მეოთხე და მეტი შვილის დაბადების რაოდენობამაც

სააგენტოს ცნობით, ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იმატებს დაბადების რეგისტრაციის რიცხვი: 2006 წელს საქართველოში 46 060 დაბადების პირველადი რეგისტრაცია განხორციელდა, 2007 წელს 48 027, 2008 წელს 57 263, 2009 წელს 61 839, ხოლო 2010 წელს 62 726 ახალშობილის დაბადება დარეგისტრირდა.

გასულ წელს დაბადებულთა შორის 52% ვაჟია, ხოლო 48 % - გოგონა.იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში შენარჩუნებულია ქორწინების ზრდის ტენდენციაც. 2010 წელს საქართველოში 31 464 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა. ბოლო ექვსი წლის მონაცემებით, საქართველოში ქორწინების მსურველთა რიცხვი სტაბილურად იმატებს.

2005 წელს 18 141 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა, 2006 წელს - 21 876, 2007 წელს — 25 925, 2008 წელს — 31 310, 2009 წელს 31 319, ხოლო გასულ წელს 31 464-მა წყვილმა მოაწერა ხელი. ბოლო 6 წელიწადში ქორწინების რეგისტრაცია 73% ით არის გაზრდილი.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრების“ მორიგი კომიტეტი ჭიათურაში დაფუძნდება

„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მორიგი წინააღმდეგობის კომიტეტი დღეს ჭიათურაში დაფუძნდება.

ღონისძიებას კრების აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენელბი და მხარდამჭერები დაესწრებიან. ხვალვე აირჩევენ ჭიათურის კომიტეტის ხელმძღვანელს.

საქარრთველოს რეგიონებში უკვე 40-მდე წინააღმდეგობის კომიტეტია გახსნილი. კრების ინიციატორთა განცხადებით, აღნიშნული კომიტეტები მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## გლდანში „ქართული პარტიის“ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდება

გლდანში დღეს „ქართული პარტიის“ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდება.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, დამფუძნებელი კონფერენცია სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში ჩატარდება.

ღონისძიებას პარტიის ლიდერები სოზარ სუბარი, ლევან გაჩეჩილაძე, ეროსი კიწმარიშვილი, კოკა კუნცაძე და პოლიტსაბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი დაესწრებიან.

კონფერენციის დელეგატები გლადანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს აირჩევენ.

**ინტერპრესნიუსი**

# კურორტი „საირმე“ დეპუტატს ერთ ლარად აჩუქეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პირებმა, არც ერთი სერიოზული ბიზნესმენი საქართველოში არ შემოვა, — ასეთია გიორგი თარგამაძის პოზიცია.

რაც შეეხება უმრავლესობის წევრების პოზიციას, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, პირველივე შეხვედრაზე ძალიან საქმიანი საუბარი გაიმართა, რომელიც შედეგზე იქნება ორიენტირებული.

— მთავარი შედეგი როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, ასევე ბიზნესისთვის არის ის, რომ შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები. ამისთვის თუ საჭიროა, რომ საგადასახადო კოდექსში მეტი ცვლილება შევიდეს გაუმჯობესების კუთხით, ეს ცვლილებები უნდა შევიდეს. არის საჭირო, რომ კიდევ სხვა ინიციატივები იყოს განხილული, ჩვენ მზად ვართ. რამდენიმე საკითხი დაისვა, რომელსაც დროული რეაგირება სჭირდება, ეს არის გადამზიდავებთან დაკავშირებული საკითხი და ასე შემდეგ, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ მელიქიშვილმა.

ბიზნესსაბჭოს დასრულების შემდეგ, კომენტარი გააკეთა საგადასახადო ომბუდსმენმა. გიორგი პერტაიამ დავების რეფორმირების საკითხზე ისაუბრა. საგადასახადო ომბუდსმენის თქმით, აუცილებელია დავების საბჭოს რეფორმირება. კონკრეტული დეტალები ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, არსებობს იდეა, რომ არსებობდეს ზედა პალატა, რომელიც იქნება უშუალოდ საგადასახადო ომბუდსმენს დაქვემდებარებული. გიორგი პერტაიას აზრით, ზედა პალატა იქნება ერთგვარი არბიტრაჟის ფუნქციის მქონე ორგანო.

ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის გიორგი ჭირაქაძის განმარტებით, საქართველოს ბიზნესასოციაციას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა საქართველოს მთავრობასთან და ბევრ საკითხზე თანამშრომლობენ, თუმცა არის საკითხები, რომელზეც მთავრობასთან ვერ თანხმდებიან.

— ჩვენი კომუნიკაცია საკანონმდებლო ხელისუფლებასთან აუცილებელია, ჩვენ შევეცდებით, რომ ის პრობლემატიკა, რომელიც ბიზნესს გააჩნია, ამაზე ვესაუბროთ პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტების ხელმძღვანელებს და დავუსაბუთოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი კონკრეტული ცვლილებების შეტანა კოდექსში. ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, რომ ბიზნესსა და მთავრობას შორის, ბიზნესსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის კომუნიკაცია, ხიდი აიგოს. ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობდით, რომ ხიდი იყო ჩატეხილი. პრეზიდენტიც ამაზე საუბრობდა. ძალიან ბევრი ნაბიჯი იდგმევა, რომ ეს ხიდი აღდგეს, — აღნიშნა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ბიზნესსაბჭოს არ უკავშირდება, მაგრამ გარკვეულწილად ბიზნესთან არის დაკავშირებული, შეეხება კურორტ „საირმეს“. სანამ ბიზნესსაბჭოს სხდომა დაიწყებოდა, პარლამენტის თავმჯდომარეს ამ საკითხზეც მოუხდა ჟურნალისტებისთვის კომენტარის გაკეთება.

რამდენიმე დღის წინ, კურორტი „საირმე“ სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადაეცა ერთ-ერთ კომპანიას. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კურორტი „საირმე“ დეპუტატ თემურ კოხოძის მიერ დაფუძნებულ კომპანიას გადაეცა.

ჟურნალისტის კითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე ინფორმაცია პარლამენტის თავმჯდომარეს კურორტ „საირმესთან“ დაკავშირებით? დავით ბაქრაძე კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა, ზოგადად კურორტის განვითარებაზე საუბრობს.

— ზოგადად პრინციპთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ მთავარია არა კურორტის უშუალო ღირებულება, არამედ ის ვალდებულება, რომელიც კურორტს მოჰყვება. თუ რომელიმე ობიექტი სიმბოლურ ფასად გადაეცა, როგორც წესი, ეს ხდება იმიტომ, რომ ობიექტში საჭიროა ძალიან დიდი თანხის ინვესტირება, ანუ მთავარია არა ის, რა ფასად გაიყიდა, არამედ ის, რა ვალდებულებას იღებს შემდეგ ინვესტორი, — განმარტა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრებით, შეიძლება რომელიღაც ობიექტი სიმბოლურად მცირე ფასად გაყიდო, მაგრამ შემდეგ მას მოაყოლო ძალიან დიდი ვალდებულება, რომ ინვესტორი ვალდებული იყოს ძალიან დიდი თანხა ჩადოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

— ჩვენთვის მთავარია ინფრასტრუქტურის განვითარება და არა მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა. ნებისმიერი ობიექტი განიხილება სწორედ იმ პრიორიტეტულობით, თუ როგორ განვითარდება და რა თანხას ჩადებს ინვესტორი მის განვითარებაში, რამდენ სამუშაო ადგილს შექმნის, როგორ ინფრასტრუქტურას ააშენებს, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# რევოლუციების დრო დამთავრდა!

## ინტერვიუ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიასთან




***— ბატონო ირაკლი, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლების დაშინება დაიწყო, ისინი ტენდერის შედეგების გაუქმებას კვლავ ითხოვენ და გაფიცვასაც გეგმავენ, მერიაში კი ჯიუტად იმეორებენ, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია არც მგზავრობის ფასის გაზრდას და არც მძღოლების უმუშევრად დატოვებას აპირებს, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რას უპირებენ რეალურად ამ ადამიანებს და რამდენად მოსალოდნელია პროცესების კიდევ უფრო გამწვავება?***

— ყველა ასეთი გადაწყვეტილების უმთავრესი პრობლემა, პირველ რიგში, არის ის, რომ ხელისუფლება იმ კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფს, რომელსაც ეს რეფორმა ეხება, რეფორმის მიღებისას თანამონაწილეს არ ხდის ხოლმე. სამწუხაროდ, ასე იყო მუდმივად და ახლაც ასეა. ჩემი აზრით, მთავარი იყო ის, რომ მძღოლები ყოფილიყვნენ ბოლომდე ინფორმირებულნი, თუ რა სახის ცვლილებები იგეგმებოდა და ტენდერი უნდა ჩატარებულიყო ტრანსფარანტულად. მე დღეს ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ჩვენთვის, „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ მთავარია, რომ არ გაძვირდეს ტრანსპორტის ღირებულება, ის ადამიანები, რომლებიც ამ სექტორში იყვნენ დასაქმებულნი, დარჩნენ დასაქმებულებად და საზოგადოებას ხარისხიანი მომსახურება მიეწოდოს. ბუნებრივია, ყველა რეფორმას საზოგადოებაში მტკინვეული აღქმა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ეს სამი პრინციპი იყოს დაცული. რაც შეეხება ტენდერს, ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო ის, რომ ტენდერი გამჭვირვალედ ჩატარებულიყო და ეს სამი პრინციპი ყოფილიყო დაცული. სამწუხაროდ, ჩვენ დავინახეთ, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებისთვის ხმა არ უნდა დაგვეჭირა და არც დაგვიჭერია, მაგრამ ჩვენ მონიტორინგს ვაწარმოებდით, რომ ეს სამი პრინციპი ყოფილიყო დაცული. და თუ ეს ასე არ იქნება ბუნებრივია, ჩვენ, უკვე, ღიად ვისაუბრებთ ამ ცვლილებებისა და ასე ვთქვათ, პროექტის წარუმატებლობაზე. რაც შეეხება პროტესტს, სოციალური პროტესტი აუცილებელიც არის საზოგადოებისთვის. ეს არის ის ფორმა, როდესაც ესა თუ ის პროფესიული ჯგუფი რეალურად ადასტურებს იმას, რომ პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ამ დარგში აწარმოებს, წინდაუხედავი და უპასუხისმგებლოა. ეს პირველ რიგში, არის ხელისუფლებაზე ზეწოლის ფორმა, იძულება ხელისუფლების, რომ ამგვარი პოლიტიკა შეცვალოს. და მე, იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოს სრული ეკონომიკური კრახი აქვს, სოფლის მეურნეობის სტრატეგია პრაქტიკულად ჩავარდნილია, ფასები მატულობს და ხელისუფლება კი ინფლაციას ვერ ებრძვის, ბუნებრივია, სოციალური პროტესტის მასშტაბების კიდევ უფრო გაზრდას ველოდები.

***— ოპოზიციის ლიდერების მხრიდან კვლავ გაკეთდა განცხადებები მოსალოდნელ „ცხელ გაზაფხულზე“, ითქვა ისიც, რომ ამ გაზაფხულს სააკაშვილი უნდა გადავაყოლოთო, გარდა ამისა, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლოა საქართველოში ეგვიპტის სცენარის განვითარება, ეს რამდენად მოსალოდნელია?***

— ყველა პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლობის საქმეა ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების მიღმაც, რომ ჩვენ და ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს თავს და მსოფლიოს დავანახოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია დემოკრატიული ფორმით ხელისუფლების ცვლილება. ჩვენ ერთი და იგივე, გათელილ გზაზე აღარ უნდა გავიაროთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი პასუხისმგებლობა სწორედ ის არის, რომ შევქმნათ ინსტიტუციური საფუძვლები, რათა საზოგადოების განწყობები და მათ შორის, საპროტესტო განწყობაც არჩევნების დროს აისახოს პარლამენტში. ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ სწორედ საარჩევნო გზით მოვახერხოთ ხელისუფლების შეცვლა. სწორედ ტუნისის და ეგვიპტის მერე გახდა ნათელი, რომ ერთპიროვნული და ავტოკრატიული მმართველობის დრო მსოფლიოში დამთავრდა. დასავლეთი მტკიცედ უჭერს მხარს ხალხის განწყობების ასახვას წარმომადგენლობით პოლიტიკურ ორგანოებში და ჩვენთვის სწორედ ეს არის გარანტია იმისა, რომ თუ ჩვენ რეალურად გვინდა დემოკრატიულ საზოგადოებად შედგომა დასავლეთი ჩვენ დაგვეხმარება. ეს შანსია, რომ დემოკრატიული გზით, არჩევნების გზით პირველად 20 წლის განმავლობაში საქართველოში მოხდეს ხელისუფლების ცვლილება.

***— და საკითხავია, ჩატარდება კი არჩევნები სამართლიანად?***

— ჩვენ სწორედ ამიტომ დავიწყეთ საარჩევო რეფორმა და ეს არის ყველაზე სერიოზული პოლიტიკური პროცესი, რომელშიც ჩართული ვართ 8 ოპოზიციური ძალა, ხელისუფლება და საერთაშორისო განწყობა და დამოკიდებულება არის მთლიანად მხარდამჭერი ჩვენი პოლიტიკური, ასე ვთქვათ, გეგმების. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ურთიერთკომპრომისების გზით მივაღწევთ გაუმჯობესებულ, თვისობრივად ახალ საარჩევნო გარემოს.

***— ანუ, თქვენ თვლით, რომ ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პოლიტიკური ნება რეალურად არსებობს, როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და რა ფაზაშია შესული?***

— პოლიტიკური ნება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ჩანს. მოლაპარაკებების პროცესი უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა და კონსულტაციები მაისის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. 2 ძირითადი მიმართულებაა: საარჩევნო სიები, რომლებიც აუცილებლად უნდა დადგინდეს და საარჩევნო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი, სადაც საზოგადოების რეგიონული წარმომადგენლობა პარლამენტში იქნება ადეკვატური. აქედან გამომდინარე, მოგვეცემა შესაძლებლობა იმისა, რომ საზოგადოებას ახალი, რეფორმირებული საარჩევნო გარემო შევთავაზოთ.

***— თუმცა, ოპოზიციის ნაწილი და ექსპერტი მოლაპარაკებებს სკეპტიკურად უყურებს და ფიქრობს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება შეუძლებელია..***

— მე, მაგ ექსპერტების სკეპტიციზმს არ ვიზიარებ. ექსპერტები უნდა იყნენ რეალისტები და თუკი არ მოსწონთ ის გზა, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას აქვს არჩეული, მაშინ საზოგადოებას ამ გზის ალტერნატიული გზა უნდა შესთავაზონ. სამწუხაროდ, არც ერთი ექსპერტისგან კონკრეტული შეთავაზება მე არ მომისმენია. ამიტომ, როდესაც რაიმე ახალს შემოგვთავაზებენ ექსპერტები მაშინ, რაღა თქმა უნდა, სიამოვნებით დავუგდებთ მათ ყურს. ამ შემთხვევაში კი ერთისა და იმავეს ღეჭვა პროგრესულად არ მიმაჩნია.

***— ზოგიერთი ოპოზიციონერი თქვენგან განსხვავებით გამოსავალს მხოლოდ რევოლუციაში ხედავს და როგორც ამბობენ, მალე დაუმორჩილებლობის გამოცხადებას და საპროტესტო აქციების დაწყებასაც გეგმავენ, შეუერთდებით თუ არა მათ, თუ თქვენი პოზიცია პროცესების ამგვარი განვითარების შემთხვევაშიც უცვლელი იქნება?***

— ჩვენი პოზიცია ურყევი და თანმიმდევრულია. რევოლუციების დრო უნდა ჩაბარდეს წარსულს. ჩვენ, ახალ პოლიტიკურ კულტურას ვქმნით და ქვეყანა მიგვყავს პროგრესისკენ. რევოლუცია კი ქვეყანას წაიყვანს რეგრესისკენ და სახელმწიფოებრიობას დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. რაც არ უნდა ვეთანხმებოდე ყველა დანარჩენ ოპოზიციონერს იმაში, რომ ხელისუფლება შესაცვლელია, მე ვცვლი და ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლების შეცვლას ვაპირებთ, მხოლოდ და მხოლოდ, შეცვლილ საარჩევნო გარემოში, დემოკრატიული არჩევნების გზით.

***— აქვს თუ არა ხელისუფლებას რაიმე კონკრეტული გეგმა ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, 20-ლარიანი ენერგო და 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერი უშველის შიმშილის ზღვარზე მყოფ საზოგადოებას?***

— მე, როდესაც ვუსმენდი სააკაშვილის გამოსვლას პარლამენტში, დავინახე პრეზიდენტი, რომელიც არ არის ქვეყნის ლიდერი. დიახ, დავინახე ადამიანი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამოყვანის გეგმა არ აქვს, მეტიც, მე დავინახე წარსულის ლიდერი, რომელსაც არ შეუძლია ქვეყანა პროგრესისკენ წაიყვანოს. ამიტომ სააკაშვილის პრეზიდენტობის მთავარი დანიშნულება დღეს, უკვე დარჩენილ ვადაში არის ის, რომ მან შეასრულოს ის მოვალეობა, რაც მას დააკისრა საერთაშორისო თანამეგობრობამ და შექმნას თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისთვის ინსტიტუციური საფუძვლები და ამით დარჩეს ის ქვეყნის ისტორიაში, როგორც ის პირველი ლიდერი, რომელმაც ხელი შეუწყო დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლას საქართველოში. ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას რაც შეეხება, არც ეკონომიკური გუნდი, არც სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის მესვეურები არ წარმოადგენენ კომპეტენტურ ხალხს, მათ არ აქვთ გრძელვადიანი ქვეყნის განვითარების გეგმა და რაც მთავარია, არც მოკლევადიანი გამოსავლის ძიების რესურსი. სოციალურად ქვეყნის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება. რადგან ჩვენ არ გვყავს ლიდერი, რომელსაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის რეალური სტრატეგია უნდა ჰქონდეს. ამიტომაც მგონია, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი კიდევ უფრო ნათლად დაინახავს, რომ 7-წლიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შემდეგ ქვეყანა კვლავ უმძიმეს და უმწვავეს სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება.

***— ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ სააკაშვილი გაპრემიერებას აპირებს, თქვენ კი საქართველოში პუტინიზაციის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავთ, რა გაძლევთ ასე ფიქრის საფუძველს?***

— მე ასე ფიქრის საფუძველს საზოგადოების და ჩვენი დასავლელი პარტნიორების განწყობა მაძლევს. ყველგან არის კონსენსუსი იმაზე, რომ არავითარ შემთხვევაში პუტინის გზით მიშას გაპრემიერებას მხარს არ დაუჭერენ. ვიმეორებ, სააკაშვილის ამოცანა მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში უნდა იყოს ის, რომ მან შექმნას ინსტიტუციური გარანტიები ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის. ჩემი აზრით, ეს იქნება ძალიან ღირებული დანატოვარი სააკაშვილის მხრიდან. ეს იქნება ის, რაც მას პოზიტიურ ლიდერად დატოვებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მიუხედავად ყველა მისი წარუმატებლობისა.

***— თქვენ იმედი გაქვთ, რომ სააკაშვილი ძალაუფლებას დათმობს, სხვათა შორის, პრეზიდენტმა პარლამენტში საანგარიშო გამოსვლისას მიგვანიშნა, რომ 2013 წლის მერეც არსად წასვლას არ აპირებს...***

— დამერწმუნეთ, ვერც ერთ ლიდერს 3 თვის წინ ჩრდილო აფრიკაში ვერ დაარწმუნებდი იმაში, რომ ხელისუფლების დათმობა მოუწევდა, მეტიც, მათ ჰქონდათ საკმაოდ გრძელვადიანი გეგმები ხელისუფლებაში ყოფნის. ვიმეორებ, ავტოკრატიული რეჟიმების დრო დასრულა. იცით, მე, მოვლენების ისეთ განვითარებას ვხედავ, რომელიც აუცილებლად ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის პირობებს შექმნის. ამიტომაც ვართ მოლაპარაკებებში შესული ხელისუფლებასთან.

***— და მაინც, რას ხედავთ?***

— პირველ რიგში, ეს არის მედიის განთავისუფლება და თქვენ ხედავთ, რომ ამ მხრივ პოზიტიური ნაბიჯები იდგმება საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მეორე, ეს არის პოლიციის დეპოლიტიზაცია და პოლიციის მაქეთკენ წაყვანა ნაბიჯ-ნაბიჯ შესაძლებელია და მესამე, ეს არის საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები, ამომრჩეველთა სიების დადგენა და საარჩევნო სისტემა. აი, ამ პირობებში ჩვენ გვექნება ჯანსაღი კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა და ხალხზე იქნება დამოკიდებული და არა სააკაშვილზე თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში.

***— თქვენსა და გიგა ბოკერიას შორის მორიგი შეხვედრა შედგა, ამჯერად რა იყო თქვენი შეხვედრის მიზეზი და რაზე ისაუბრეთ?***

— ეს იყო მორიგი, წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა და ჩვენ ვისაუბრეთ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თემაზე. კონკრეტულად, საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, მედიის საკითხებზე და პოლიციის დეპოლიტიზაციაზე. ასევე ვისაუბრეთ მათ მიერ წარმოდგენილ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტზე. მე ჩემი მოსაზრებები გავაცანი ბოკერიას და ასევე ვუთხარი, რომ ჩვენ ჩართული ვართ ამ პროცესში. ამ კვირაში, რამდენადაც ვიცი, პარლამენტში გაიმართება სხდომა და ჩვენი წარმომადგენლები ჩვენს პოზიციას წარადგენენ.

***— ითქვა, რომ თქვენ და გიგა ბოკერია საკმაოდ ხშირად ხვდებით ერთმანეთს, რადგან მეგობრობთ...***

— არა, ეს მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი შეხვედრა იყო და მსგავსი შეხვედრა ალბათ მომავალშიც დაიგეგმება, რადგან ჩვენთვის მთავარია, ხელისუფლებასთან ურთიერთქმედებაში იყოს საარჩევნო გარემოს შეცვლა და საარჩევნო კომისიაში, ბაქრაძესთან, კუბლაშვილთან თუ ბოკერიასთან ანუ ყველა ხელისუფლებიდან წარმოდგენილ, ასე ვთქვათ, მომლაპარაკებელთან ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ, ამ საკითხზე ვსაუბრობთ ხოლმე.

**ქეთი ხომერიკი**

# უნდა ჩატარდეს თუ არა არჩევნები ბიომეტრიული პასპორტებით

ნათია ხურცილავა

**რა არგუმენტებს დაუპირისპირებს ხელისუფლება ოპოზიციური რვიანის ინიციატივას და ბოლივიის პროექტს, არჩევნების ბიომეტრიული სისტემით ჩატარებასთან დაკავშირებით.**

**იქნება თუ არა ყველაფერი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული?**

**ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ესაუბრა.**

*— ბატონო მამუკა, ბოლივიაში არჩევნების ბიომეტრიული სისტემით ჩატარების მაგალითის პრეზენტაცია გაიმართა. რამდენად რეალურია, ბოლივიის გამოცდილება იქნეს გათვალისწინებული ხელისუფლების მიერ?*

— რვა პარტიის ფორმატში წარდგენილი იყო ინიციატივა ბიომეტრიული მონაცემებით არჩენების ჩატარების შესახებ, მაგრამ საკითხი ორ ნაწილად იყოფოდა. პირველი, ბიომეტრიული მონაცემებით ამომრჩეველთა სიის შექმნა. მეორე, ბიომეტრიული მონაცემებით პირადობის მოწმობების გაცემა და არჩევნების დღეს მისი გამოყენება. როგორც ალვნიშნე, ოპოზიციური რვიანის ინიციატივა ბიომეტრიასთან დაკავშირებით ორ ნაწილად იყოფა. რაც შეეხება ბოლივიის მაგალითს, ის ჩვენი ინიციატივის პირველ ნაწილს ეხმაურება. ბოლივიაში პირადობის მოწმობების შექმნა ბიომეტრიული მონაცემებით არ ყოფილა პროექტის თემა. ბოლივიაში ბიომეტრიული მონაცემებით ამომრჩეველთა სიის შექმნა იყო მიზნად დასახული. ამას ორი ახსნა ჰქონდა. რატომ გააკეთეს ბოლივიელებმა ძირითადი აქცენტი ამომრჩეველთა სიაზე. პირველი, უკიდურესად შემჭიდროვებული დრო ჰქონდათ, დარჩენილი იყო 4 თვე. ამიტომ იქ მხოლოდ ამომრჩეველთა სიაზე გაკეთდა აქცენტი. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ფასის მატება, რაც მათთვის გადაულახავი პრობლემა იყო. ამიტომ მხოლოდ ამომრჩეველთა სიის ფორმირებაზე გაკეთდა აქცენტი ბიომეტრიული მონაცემებით.

*— რამაც ხელი შეუწყო არჩევნების პროცესს...*

— რა თქმა უნდა. როდესაც ბოლივიის მაგალითზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ ის, რომ ეს არის ჩვენი ინიციატივის ერთი ნაწილი, რასაც ამომრჩეველთა სიის ფორმირება ჰქვია. ბოლივიაში ამომრჩეველთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში. დასაფარი ტერიტორია მობილური ჯგუფებითაც 20-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში. ბოლივიაში გაცილებით უფრო რთული მდგომარეობაა,ვიდრე ჩვენთან, ვგულისხმობ მალალმთიან დასახლებებს და რეგიონებს. არის დაბლობები, ასევე ამაზონის ჯუნგლები, ინდიელთა დასახლებები, რომელიც მიუვალია. ამ თვალსაზრისითაც ბოლივიის მაგალითი ბევრად უფრო რთულია. ბოლივიელებმა ეს ყველაფერი ფაქტიურად ნულიდან დაიწყეს. არანაირი საიდენტიფიკაციო კოდები, პირადი ნომრები იქაური მოსახლეობის არ არსებობდა, მხოლოდ არსებობდა რამდენიმე უწყების მიერ გაცემული პირადობის მოწმობები, რაც თავისთავად ამომრჩეველთა ბაზას რევდა. ესეც უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებდათ ბოლივიელებს, ვიდრე ჩვენთან არის. ასევე ბოლივიაში არ არსებობს ელემენტარულად ინტერნეტი, მაშინ, როდესაც საქართველოში მთულ ტერიტორიაზე ან ინტერნეტი არსებობს, ან მინიმუმ მობილური ქსელით დაფარულია მთელი ტერიტორია. ბოლივიაში თუ მობილური ჯგუფები ცხენებით და ვირებით, ხშირ შემთხვევაში ფეხით მოძრაობდნენ, საქართველოში არ არსებობს დასახლებული პუნქტი, სადაც მანქანა არ მიდის. უკიდურესი და ურთულესი წერტილიც კი ავტომობილით მაინც მიღწევადია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ბოლივიაში მაინც მოხერხდა მთლიანად ოთხი თვის ვადაში, ხოლო უშუალოდ ეს პროცესი 75 დღის განმავლობაში იქნა შესრულებული. მანამდე ერთი თვე მოსამზადებელი პერიოდი იყო. ტექნიკის შესყიდვის, ტრენირების, ოფისების გახსნის და ა.შ. სასტარტო მოცემულობა ბევრად უფრო რთული იყო ბოლივიაში, ვიდრე დღეს არის საქართველოში. ამ ყველაფრის მიუხედავად ბოლივიაში, სადაც ისეთივე უნდობლობითი დამოკიდებულება იყო ამომრჩეველთა სიის მიმართ, როგორიც საქართველოში, ისეთივე პოლიტიკური დაპირისპირება იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, როგორიც დაახლოებით საქართველოშია, მაინც მოძებნილიყო პირველ რიგში პოლიტიკური შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ამ პრობლემების მიუხედავად იმ მცირე დროში დაძლეულ იქნა იმის მიღწევა, რომ სრულად იქნა აღწერილი ბიომეტრიული მონაცემებით მოსახლეობა, შექმნილი იქნა ამომრჩეველთა სიები, რომლის შედეგად სიების მიმართ ნდობა, ნდობა ზოგადად არჩევნების მიმართ 25 პროცენტით გაუმჯობესდა და შედეგიც გაცილებით უფრო მაღალი ეფექტის მომტანი იყო, ვიდრე სიების ფორმირება დაიწყებოდა.

*— რა დაუჯდა ბოლივიას მთელი ეს პროცესი?*

— 46 მილიონი ამერიკული დოლარი, სადაც ყველა ხარჯი შევიდა. სხვათა შორის, ეს იყო ბიუჯეტის ხარჯი და დონორული ორგანიზაციების დაფინანსება. არის თუ არა ეს საქართველოში შესაძლებელი, არ ვიცი, რა გონებამ, რა ჭკუამ, რა შინაგანმა განწყობამ, არ ვიცი, რა ძალამ უნდა უკარნახოს ვინმეს, რომ თქვას, ეს საქართველოში მიუღწეველია, მაშინ, როდესაც ბოლივიაში მიღწეულ იქნა ასეთი კონტრასტული სასტარტო პირობების მიუხედავად.



*— არგუმენტები, რომელიც ბოლივიის მაგალითზე ჩამოთვალეთ, გამოდის, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, იქნება გათვალისწინებული თუ არა?*

— დიახ, პასუხი დღეს ხელისუფლების მხრიდან, განვახორციელოთ თუ არა ბოლივიის მაგალითი საქართველოში, დადის მხოლოდ ერთადერთ პასუხამდე: მინდა ან არ მინდა, პოლიტიკურ ნებამდე, მაგრამ პოლიტიკურ ნებასაც ხომ აქვს არგუმენტები. შეიძლება პოლიტიკურ ნებას დაუპირისპირო, მაგალითად, დრო არ გვაქვს, ბიუჯეტი არ გვაქვს, ტექნიკურად შეუძლებელია, ყველა ეს პრობლემა გადაიხაზება თუ ბოლივიის მაგალითს გავითვალისწინებთ. ყველაფერი იქამდე მიდის, რომ უბრალოდ არ მინდა, რომ ეს გაკეთდეს. სხვა არგუმენტი და პასუხი, კითხვის ნიშანი ელემენტარულად არ იარსებებს თუ ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის.

*— ზაფხულიდან საჯარო რეესტრი მოქალაქეებს პირადობის მოწმობებს შეუცვლის, ხომ არ ფიქრობთ გარკვეულწილად ეს გამოიწვევს ქაოსს?*

— არა. ძალიან სტრატეგიულ შეცდომას უშვებს ის, ვინც ურთიერთხელისშეშლაზე საუბრობს. ბოლივიაში ამომრჩეველთა სიის შექმნაზე პასუხისმგებელი ერთმნიშვნელოვნად იყო ცენტრალური საარჩევენო კომისია, არავითარი კავშირი ამ პროცესს არ ჰქონდა საჯარო რეესტრთან, პირადობის მოწმობებთან, მით უფრო იმ პირადობის მოწმობებში ისეთი ტიპის სერვისების ჩადებასთან, როგორიც არის საბანკო ოპერაციები, სხვა ტიპის ღონისძიებები, რასაც, როგორც ამბობს სამოქალაქო რეესტრის მიერ დაგეგმილი პროექტი. ბოლივიის შემთხვევაში ამოცანა კონკრეტული იყო. ეს არის ამომრჩეველთა სიის ფორმირება, ყოველგვარი დოკუმენტის გაცემის გარეშე. ამომრჩეველთა სიის ფორმირების დროს ერთიანი ბაზის შექმნა, ამ ბაზის საფუძველზე უბნების მიხედვით ამომრჩეველთა სიის შედგენა და სიაში კონკრეტული ფოტოსურათის დაბეჭდვა ამომრჩევლის გვარის და სახელის გასწვრივ. მეტი ამოცანა ბოლივიაში არ ჰქონიათ. ამ ამოცანაზე პასუხისმგებელი საარჩევნო კომისია იყო. რაც შეეხება პირადობის მოწმობას, სხვადასხვა ტიპის სერვისებს, ეს არის სამოქალაქო რეესტრის საქმე, რაც შეიძლება პარალელურად აკეთოს სამოქალაქო რეესტრმა, მეტიც, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია კონკრეტულ ვადაში უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სიის ფორმირებას, შექმნილი სია სამოქალაქო რეესტრს გაუადვილებს იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც მან უნდა გააკეთოს უფრო გრძელვადიან პროექტში. ეს პროცესი ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულია, თუმცა, პირველი პროცესი, როგორც უკვე ალვნიშნე, უზრუნველყოფს მხოლოდ სიის ფორმირებას ბიომეტრიული მონაცემებით, მეორე პროცესი სიასთან ერთად უზრუნველყოფს პირადობის მოწმობის გამოყენებას საარჩევნო პროცედურებში, რაც ბოლივიაში დროის სიმცირის და ფინანსების გამო არ გაკეთდა. დროის სიმცირის პრობლემა საქართველოს არ აქვს, რაც შეეხება ფინანსებს, ამ თვალსაზრისით გარკვეული პოზიტივი ჩვენ უფრო გვაქვს, ვიდრე ეს ბოლივიას ჰქონდა.

*— თუ არის ოპოზიციისთვის ხელისუფლების არგუმენტი ამ საკითხზე ცნობილი?*

— მსგავსი განხილვა არ მომხდარა, რადგან მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ტაიმ-აუტი ითხოვა, შეხვედრა არ გამართულა. მათ სჭირდებოდათ დრო, რომ წარმოედგინათ მათი შეფასებები, ასევე სხვა საკითხებზე არ იყვნენ ჯერ მზად. ჩვენ ზედმეტად არ „დავაწექით“, რომ სასწრაფოდ წარმოედგინათ. თუმცა, დათქმა გვქონდა, რომ 1 მარტამდე ყველა ხედვა უნდა წარმოედგინათ. მათ არ წარმოადგინეს არანაირი ხედვა ამ ვადაში. ტაიმ-აუტმა ვერ უშველა ხელისუფლებას, მაგრამ წარმოადგინეს გარკვეული კალკულაცია, რომელიც სერიოზული კრიტიკის საგანია ოპოზიციური რვიანის მხრიდან, რაზეც ჩვენ სპეციალურ პრეზენტაციას ვამზადებთ, რაც ჩვენი მხრიდან პასუხი იქნება მათ კალკულაციაზე. რაში სცდებიან, რა არის „გაბერილი“ და არარეალისტური და როგორ ხდება საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა, ამაზე ვისაუბრებთ. ბოლივიის მაგალითის პრეზენტაციას ესწრებოდა ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი, რომელმაც რამდენიმე კითხვა დასვა, მაგრამ მისი ნაკლებკომპეტენტურობა, რადგან ის არ არის ამ საკითხში ჩართული, ვერ უძლებდა კრიტიკას. ჩვენ მისთვის კითხვები არ დაგვისვამს და არც პასუხები მოგვითხოვია, რადგან ბატონი კუბლაშვილი და ბატონი მინაშვილი სხვა კომპეტენტურ პირებთან ერთად ალბათ გადამწყვეტ პოზიციას დააფიქსირებენ, როდესაც გაეცნობიან ბოლივიურ პროექტს.

*— მორიგი შეხვედრა როდის იქნება?*

— შეხვედრა 9 მარტს არის დაგეგმილი, მაგრამ იმედია, რომ იქამდე მოგვაწვდიან მათ ხედვებს ყველა საკითხზე დათქმის შესაბამისად, მოდერატორი საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით.

# რატომ გამყარდა ლარი

შორენა კოწოწაშვილი



**ლარის ინფლაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს შორის განსხვავებული პოზიციები არსებობს. ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ელექტროენერგიის 20 ლარიანი ვაუჩერების დარიგებამ და ბაზარზე დამატებითი ფულის მასის გაჩენამ ეროვნული ვალუტის ინფლაციას შეუწყო ხელი. ეკონომისტების ნაწილი ამ შეფასებას არ იზიარებს და მიაჩნიათ, რომ 20 მლნ არ არის ისეთი თანხა, რომელიც ლარის კურსის ინფლაციას გააღრმავებს.**

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ლარი დოლართან მიმართებაში 1,20 ლარამდე ჩამოვა. ამან არა მხოლოდ მოსახლეობაში გამოიწვია სერიოზული პანიკა, არამედ ექსპერტებმაც გაოცება ვერ დამალეს.

ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი ფაქტობრივად გამორიცხავს ლარის კურსის დოლართან მიმართებაში 1,20 ნიშნულზე ჩამოსვლას.

გთავაზობთ ინტერვიუს გია ხუხაშვილთან:

*— ბატონო გია, შესაძლოა ლარი ისე გამყარდეს, რომ დოლართან მიმართებაში 1,20 დაფიქსირდეს?*

— არა მგონია. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს, ლარზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა. გამომდინარე იქიდან, რომ ინფლაციურმა პროცესმა ადამიანები აიძულა მუთაქები გაეხსნათ, შენახული დოლარი გამოეღოთ და დაეხურდავებინათ. გარდა ამისა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეროვნული ბანკიც მოქმედებს ამ მიმართულებით იმისათვის, რომ ცოტათი შეარბილოს ის ინფლაციური პროცესი სოციალურად დაუცველ ფენებთან მიმართებაში. მაგრამ ის, რომ 1,20 ლარამდე დაეცეს დოლარი ლართან მიმართებაში, ეს არასერიოზულია. მე ვფიქრობ, რომ ახლა პრაქტიკულად შესაძლებლობის მინიმუმზე დგას ეს ყველაფერი და ესეც ძალიან ხელოვნურია. სულ მალე დაუბრუნდება იმ ნიშნულს, რომელზეც რამდენიმე დღის წინ იყო.

*— არაერთხელ ითქვა ექსპერტების მხრიდან, რომ ეროვნული ბანკი სწორ პოლიტიკას ატარებდა, როცა ინფლაციის შეჩერების მიზნით რეზერვები გამოჰქონდა.*

— არსებულ ვითარებაში, როგორც ოპერატიული ზომა შექმნილ ვითარებაზე რეაგირების თვალსაზრისით ანუ როგორც ტაქტიკური სვლა, შეიძლება ითქვას, რომ გარდაუვალი უბედურებაა. სისტემურად, სტრატეგიულად ეს რომ სწორი იყოს, მე ამას არ ვიზიარებ. არსებულ ვითარებაში შესაძლოა სხვა გამოსავალი არ არის.

*— ელექტროენერგიის 20 ლარიანმა ვაუჩერებმა ინფლაცია გააღრმავა?*

— არა მგონია. იმდენად მცირე თანხებზე ვსაუბრობთ, რომ ეს, რა თქმა უნდა, ინფლაციას გარკვეულ ბიძგს აძლევს, მაგრამ ეს არ არის სისტემური ბიძგი. ინფლაციური პროცესი იყო ძალიან მაღალი. ინფლაციური ნახტომი რაც მოხდა, პრაქტიკულად ამ ვაუჩერების გამოშვებამდე იყო დასრულებული.

# არამიანცის კომპლექსში შემავალი 4 კლინიკა გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ე.წ არამიანცის კომპლექსში შემავალი 4 კლინიკა გაასხვისა.

საპრივატიზაციო აუქციონზე “ზოგადქირურგიული კლინიკის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი კომპანია „ალსმა“ 455 000 აშშ დოლარად შეიძინა. ამავე კომპანიამ შეიძინა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკა „სინთეზიც“, რაშიც 200 000 ლარი გადაიხადა. აუქციონზე კომპანიის წარმომადგენელი გიორგი ქავთარაძე იყო.

აუქციონზე გაიყიდა ასევე „ნეიროქირურგიული კლინიკის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილიც, რომელშიც ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა 305 000 აშშ დოლარი გადაიხადა.

გარდა ამისა, დღევანდელ აუქციონზე გაიყიდა გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი, რომელიც 275 000 ლარად ფიზიკურმა პირმა ნოდარ კაკაბაძემ შეიძინა.

აუქციონის პირობების მიხედვით, კლინიკების ახალი მფლობელი ვალდებულია ობიექტს სამედიცინო პროფილი 7 წლის განმავლობაში შეუნარჩუნოს. ე.წ არამიანცის კომპლექსში შემავალი 6 კლინიკის მფლობელი ბიზნესმენი დანიელ გუფთაა. მანვე შეიძინა ე.წ არამიანცის კომპლექსის მიწის ნაკვეთიც.

**ინტერპრესნიუსი**

# ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით პირველ ადგილზე ვართ

შორენა გონგლაძე

საქართველო ჯანდაცვის თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობაშია, ევროპის 47 ქვეყანას შორის, ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობით პირველ ადგილზეა, — ეს განცხადება გუშინ ქალაქის საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ გააკეთა. დოლიძის განცხადებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2010 წლის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაშია. მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, საქართველო მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის 192-ე ადგილზეა, ამასთან, ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაში გაწეული ხარჯები 35 აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა ეს მონაცემები საფრანგეთის მაგალითზე 3655 აშშ დოლარია, ამერიკაში — 3317, გერმანიაში — 3236, ესტონეთში — 630, ლიტვაში — 530, რუსეთში კი 243 დოლარს შეადგენს.

თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, კერძოდ, საქართველო მსოფლიოში ამ მხრივ 66-ე, ხოლო ევროპის 47 სახელმწიფოს შორის 44-ე ადგილზეა. ამასთან, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში კი ევროპის 47 სახელმწიფოებს შორის 47 ადგილზე.ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საბოლოო დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა ხშირად სპეკულირებს, რომ ბიზნესის დაწყების სიიოლით საქართველო მსოფლიოს 129 ქვეყანას შორის მე-83 ადგილზეა, ბიზნესის დაწყება ძნელი არ არის, მაგრამ მისი წარმოება უფრო რთულია, ამ მონაცემებს კი ხელისუფლება საკუთარ ხალხს უმალავს, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

ვიქტორ დოლიძის განცხადებით, არსებული ხელისუფლების პირობებში მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

## ანდრია ურუშაძემ მედიცინის პროფკავშირი დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე პროფესიულ კავშირებს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მინისტრი მედიცინის, ფარმაციისა და სოციალური დაცვის მუშაკთა პროფკავშირის იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, თბილისში, კერძოდ ავჭალასა და თემქაზე მდებარე ორი საავადმყოფოს გაუქმება იგეგმება. პროკავშირების ცნობით, ამის გამო ადამიანები დაუსაქმებელნი დარჩებიან.

ანდრია ურუშაძის თქმით, ხსენებული სამედიცინო ობიექტები ჯერჯერობით ფუნქციონირებას განაგრძობენ.

—შეგიძლიათ მიხვიდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ ისინი. პროფკავშირებს ამ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს. სასურველია, ვიდრე ისინი რამე განცხადებას გააკეთებენ და საზოგადოებას დეზინფორმაციას მიაწვდიან, სასურველია, სწორი ინფორმაცია სამინისტროსაგან მიიღონ, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

მედიანიუსი

## სოხუმში სურსათის საწყობი დაიწვა

სოხუმში ხანძარმა სურსათის საწყობი გაანადგურა. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი" იტყობინება.

გუშინ 13:00 საათზე ხანძარი ნაზაძის ქუჩის №36-ში მდებარე სურსათის საწყობში გაჩნდა, რის შედეგადაც საწყობი სრულად განადგურდა. აღნიშნული საწყობი ფირმა „მოდა პლასტს" ეკუთვნოდა.

ცეცხლის ჩასაქრობად მეხანძრეთა ხუთი ბრიგადა მუშაობდა.

ამჟამად ხანძრის გამომწვევი მიზეზების გამოძიება და მიყენებული ზარალის დადგენა მიმდინარეობს.

შემთხვევის ადგილზე აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა და სოხუმის დე-ფაქტო პროკურორი ალისა ბიგვავა მივიდნენ.

მედიანიუსი

## ირლანდიის ელჩმა საგარეო უწყებაში შეხვედრა გამართა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროში გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს სერგი კაპანაძესა და საქართველოში ირლანდიის ელჩს ჯონ როუანს შორის.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პერსპექტივები და 2012 წელს ეუთო-ში ირლანდიის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოსათვის პრიორიტეტული საკითხები.

მედიანიუსი

## ეკონომიკის სამინისტრო სტუდენტებისთვის ბიზნეს-პროექტს იწყებს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სტუდენტებისთვის ბიზნეს-პროექტს იწყებს. ბიზნეს-პროექტის — „ახალი ინიციატივა", დეტალები ხვალ გახდება ცნობილი.

მინისტრი ვერა ქობალია ხვალ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის რექტორს შეხვდება. შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შედგება.

ინტერპრესნიუსი

# რას ედავებიან გია გვაზავას

**28 თებერვალს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა სერგი საჯაიამ თავის სამუშაო კაბინეტში შიმშილობა გამოაცხადა.**

**სერგი საჯაიას თქმით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო პარალიზებულია მისი თავმჯდომარის გია გვაზავას არაკომპეტენტურობისა და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგად. მისი მოთხოვნები ასეთია: 1. დაუყოვნებლივ გადადგეს პერსონალური ავტომანქანის შესყიდვის, ოჯახურ კორუფციაში მხილებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა. 2. 1 კვირის ვადაში გია გვაზავამ სახელმწიფო ხაზინას დაუბრუნოს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებითა და თაღლითური გზით მითვისებული სხვა თანხები და 3. დაუყოვნებლივ შეწყდეს აპარატის იმ თანამშრომელთა დევნა, რომლებიც გია გვაზავამ კორუფციაში ძალდატანებითა და მოტყუებით ჩაითრია.**

**სერგი საჯაია აცხადებს, რომ შეიძლება ძალოვანი სტრუქტურების დახმარებით იქიდან გააგდონ: „უნდათ, ძალოვნების დახმარებით აქედან გამაგდონ. ამის შესახებ ჩვენმა პარლამენტარებმა მითხრეს. მე წლობით ვიყავი იატაკქვეშეთში და ამის არ მეშინია", — განაცხადა მან.**



გულიკო ბალა ე

— ამ ოთახიდან არ გავალ მანამ, სანამ არ შესრულდება ჩემი მოთხოვნები. შეიძლება შევწყვიტო შიმშილობა და უბრალოდ მჯდომარე აქციაზე გადავიდე იმ შემთხვევაში, თუ კომისია შეიქმნება. 90 შუამავალი რომ მოვიდეს, გადაწყვეტილებას არ შევცვლი. კომისიამ უნდა შეისწავლოს, რამდენად პოლიტიკურად კომპეტენტურია ბატონი გია. ეს უმნიშვნელო საკითხი არ არის, რადგან ის პოლიტიკური თანამდებობის პირია. რამდენად ადეკვატურია ბატონი გია ზნეობრივად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია, რადგან ის კაპიკები, რომლისგანაც ჩვენი ბიუჯეტი წარმოდგება, ჩვენი ხალხის ცრემლით, სისხლითა და ოფლით არის შეკრული, — აცხადებს სერგი საჯაია.

— ***ბატონ გიას რაში ადანაშაულებთ?***

— ოჯახურ კორუფციაში, რაც გამოიხატება მისი ოჯახის წევრების მონაწილეობით ორგანიზებულ დანაშაულში.

— ***კონკრეტულად?***

— კონკრეტულად, ეს არის დაკითხვის სფერო. დიდ ფულზეა საუბარი. ყველაფერი უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ხაზინას. ეს არ არის მზითვად, ან მემკვიდრეობით მიღებული. ეს არის ჩემი ხალხის — სანგარში რომ ლპებოდა და 2 თვის წინ ბენზინი რომ გადაისხა. მან ეს თანხები თაღლითურად მიითვისა. როდესაც ხდება საბუთის გაყალბება, ამას ჰქვია თაღლითობა. სახელმწიფო სახსრები მიითვისა. ძალიან დიდი თანხაა ძირითადად 2010 წელს მითვისებული. თან თაღლითობაა ისიც, რომ თითქოს კონტროლის პალატა მოიწვია და 2009 შეამოწმებინა, სადაც ნაკლებად ჩანს თაღლითობები. მხოლოდ ერთი მომენტი ჩანს. იქ არ ჩანს მივლინებები, კონდიციონერები, ნოხები. უბრალო ენაზე რომ ვთქვათ, ამას ჰქვია ჩაჯიბვა. მისი მანქანა დროებით გააფორმა ვიღაც სხვაზე, შემდეგ შეასყიდინა უმაღლეს საბჭოს. 2010 წლის აპრილში მივედი ბატონ გიასთან კაბინეტში და ვუთხარი, რომ ის არაადეკვატურად იქცეოდა. თანახმა ვიყავი გაადგომის მოთხოვნა მომეხსნა, თუ კომისია შეიქმნებოდა, მაგრამ ესეც არ გააკეთა, ეშინია.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯემალ გამახარიამ განაცხადა, რომ ის აქციის ამ ფორმას მხარს არ უჭერს, მაგრამ არის საკითხები, რომელიც უნდა გაირკვეს.

— აქციის ამ ფორმას მხარს არ ვუჭერ, მაგრამ არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც დეპუტაციამ უნდა გაარკვიოს. დიდი ხანია კომისიის შექმნის საკითხი დგას. უმაღლეს საბჭოში ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს აპარატის წევრებისაგან შემოსულია 7-8 განცხადება. ამას სჭირდებოდა კომისიის შექმნა და შესწავლა. აქ იყო კონტროლის პალატა და ყველას ეგონა, რომ ამ საკითხებს შეისწავლიდა, მაგრამ აქ არის საკითხები, რომელიც რატომღაც კონტროლის პალატის დასკვნებში ასახული არ არის. ეს საკითხები მათ არ შეუსწავლიათ. დღესაც პრეზიდიუმის სხდომაზე კომისიის შექმნას ვითხოვდით. თითქოს წინააღმდეგობები არ იყო, ყველა ამბობდა, შევქმნათო, მათ შორის თავმჯდომარეც, მაგრამ რატომღაც ეს კომისია არ იქმნება.

— ***საეჭვოდ რა მიგაჩნიათ?***

— საეჭვოობა ცოტა სხვაა. შემოსულ განცხადებებს შემოწმება ხომ უნდა, განმცხადებელს პასუხი ხომ უნდა გაეცეს? განცხადებებში საუბარია უმაღლეს საბჭოში არსებულ რაღაც ფინანსური სახის სხვადასხვა დარღვევებზე. განცხადებით მოგვმართა აპარატის ყოფილმა თანამშრომელმა, ბატონი ზარანდიამ (უკვე გათავისუფლებულია) და სხვა თანამშრომლებმა, რომლებმაც დაწერეს განცხადება ამასთან დაკავშირებით. ეს განცხადებები შემოტანილია პრეზიდიუმის წევრების სახელზე, რომელიც 2010 წლიდან მოყოლებული ზოგადად იხილებოდა, მაგრამ არანაირი გადაწყვეტილება, სამწუხაროდ, არ მიღებულა. როცა არის ფინანსური პრობლემები, მაშინ იქმნება კომისია და საკითხები შეისწავლება. ამის უფლება გვაქვს.

— ***გია გვაზავას გადადგომის მოთხოვნას მხარს უჭერთ?***

— გადადგომის მოთხოვნას მხარს დავუჭერ იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაადასტურებს, რომ ბატონ გიას მიმართ გამოთქმული პრეტენზიები არის სწორი. ამ შემთხვევაში ის უნდა გადადგეს. თვითონაც ამბობს, თუ რამე დამიდასტურდება, მე გადავდგებიო. მაგრამ ამაზე საუბარი ხომ უნდა დამთავრდეს. კომისია უნდა შეიქმნას და ეს საკითხები უნდა იქნას შესწავლილი.

ჩვენ შევხვდით აფხაზეთის უმაღლეს თავმჯდომარეს, ბატონ გია გვაზავას, რომელიც უარყოფს კორუფციაში მისი მონაწილეობის ბრალდებას. ამის დასტურად მას კონტროლის პალატის დასკვნა მოაქვს.

— ***ბატონო გია, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ვითარება დაიძაბა იქიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი შიმშილობს თქვენი გადადგომის მოთხოვნით. ის ბრალს გდებთ კორუფციაში. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?***

— მას არ აქვს ჩემი გადადგომის მოთხოვნის უფლება. მხოლოდ დეპუტატებს აქვთ უფლება, ჩემი გადგომის თაობაზე საკითხი დააყენონ. როგორც ვიცი, მან თავისი მოთხოვნები გარკვეულწილად შეცვალა. ის ამბობს, რომ თურმე ჩემთან საუბარი უნდა აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხებზე და ჩემ ხედვას არ იზიარებს. მას შეხვდა დეპუტატების ჯგუფი, რომლებსაც ამის თაობაზე განუცხადა. არც ერთი დეპარტამენტის უფროსს არ აქვს არჩევითი ორგანოს დეპუტატების გადადგომის მოთხოვნის უფლება.

— ***მე მგონი, ჩვეულებრივ მოქალაქესაც კი შეუძლია მოითხოვოს დეპუტატის გადადგომა.***

— კი ბატონო, ამ მოთხოვნის გაცხადების უფლება აქვს, მაგრამ დღევანდელი კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურეს აქციის მოწყობა ამ შენობის გარეთ შეუძლია. შენობაში აქციის მოწყობა ხელს უშლის ამ ორგანოს მუშაობას. პრაქტიკულად, უმაღლესი საბჭოს დღევანდელი მუშაობა ჩაიშალა, რაზეც პასუხისმგებელია ის, ვინც ამისთანა აქციას ატარებს. ესეც მეორე დანაშაული. მესამე — არავის აქვს უფლება, ამა თუ იმ ორგანოს მორალური ზიანი მიაყენოს, დისკრედიტაცია მოახდინოს.

— ***თქვენ ამბობთ, რომ ეს აქცია უმაღლესი საბჭოს დისკრედიტაციას ემსახურება?***

— რა თქმა უნდა. თქვენ გგონიათ, აქ რაღაც დიდი საშინელებებია მომხდარი? ალბათ კონტროლის პალატის აქტს გაეცნობით და ჟურნალისტურ გამოძიებას ჩაატარებთ. მეხუთე კოლონის აზრით, დღეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დისკრედიტაცია იმისთვისაა საჭირო, რომ, რაც უფრო მეტი კერა იქნება საქართველოში, მით უკეთესია მათთვის. ეს აწყობთ ზოგიერთ მეხუთე კოლონის წარმომადგენელს. არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ სერგი საჯაია ამ კუთხით აკეთებს ამას. ზოგი უნებლიეთ აკეთებს ამას, ზოგი — გამიზნულად. ამიტომ ასეთი პროცესები უმაღლესი საბჭოს დისკრედიტაციაა. ეს ის ორგანოა, რომლის გაუქმებაზე სეპარატისტები და მისი „ხაზეინები" მუდმივად ლაპარაკობდნენ. მათ სამი მოთხოვნა ჰქონდათ — პარტიზანული მოძრაობის აღკვეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათი დამოუკიდებლობის ცნობა და ჩვენი გაუქმება. არის ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ჩვენს გაუქმებაზე წერენ. ნებსით თუ უნებლიეთ, დღევანდელი პროცესები ამ კუთხით მიდის. ის ადამიანები აქ მანამდეც მრავალჯერ მოდიოდნენ. პასუხიც მრავალჯერ გავეცით. რა იყო ჩვენთან ისეთი მოუგვარებელი, რომლის გადაწყვეტა დიალოგის რეჟიმში არ შეიძლებოდა, მაგრამ ბატონმა სერგიმ რადიკალური ნაბიჯი არჩია.

— ***სერგი საჯაია თქვენ არაკომპენტენტურობაზე საუბრობს...***

— დიახ, მას მიაჩნია, რომ ჩემი და მისი ხედვები აფხაზეთის დეოკუპაციისადმი სხვადასხვაა. შეიძლება ის სხვანაირად ხედავს დეოკუპაციის გზას, მე სხვანაირად, რა არის ამაში საშინელება.

— ***ბატონო გია, არის სხვა საკითხებიც — კერძოდ, საუბარია სამსახურებრივი, პერსონალური ავტომანქანის შესყიდვასა და კორუფციაში მხილებაზე.***

— მე გადმოგეცით კონტროლის პალატის აქტი. რასაც ეს დოკუმენტი პასუხს ვერ გასცემს, არის პროკურატურა, მას გადასცეს და თუ დამტკიცდება, მე ხელს ავწევ. პრობლემა არ არის. მე მადლობა მინდა ვუთხრა დღევანდელ პრეზიდენტს, რომ მართლაც კორუფციასთან ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული. თუკი დამტკიცდება, რომ გია გვაზავა მართლა ხაზინის ქურდია (შეიძლება რაღაც არც მაინცდამაინც სწორად გაკეთდა რაღაც) და თუკი დამიმტკიცებენ, რომ ბიუჯეტში ხელი ჩავყავი, მე პასუხს ვაგებ. ვინ მაპატიებს, როგორ გეკადრებათ!

— ***საჯაია საუბრობს დიდი ოდენობით თანხის მითვისებაზე.***

— ვიცი, რომ ის ამაზე საუბრობს, მაგრამ თუ არ დაამტკიცებს, პასუხს მას მოსთხოვენ.

— ***ის საუბრობს თქვენი ოჯახის ავტომანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით კორუფციულ სქემაზე. თითქოს ის ავტომანქანა ღირდა 3-4 ათასი ლარი, თქვენ კი ძვირად მიყიდეთ უმაღლეს საბჭოს.***

— ჯერ ერთი, ჩემი ოჯახიდან ის ავტომანქანა არ შესყიდულა. უმაღლესმა საბჭომ იმ დროიდან ოთხი თვის შემდეგ შეისყიდა, რაც ჩვენ გავყიდეთ.

— ***საუბრობს იმაზე, რომ იმ პერიოდში, როცა ეს მანქანა გაყიდული იყო, თქვენი შვილი სარგებლობდა და მის სახელზე ჯარიმებია გამოწერილი.***

— კი ბატონო, გადასცენ პროკურატურას და გამოიძიონ. არსებობს კონტროლის პალატის აქტი. მათ ფასი გაიგეს. თუ ფასი არასწორია, ან მომატებულია, იქ უნდა ყოფილიყო. რადგან იქ ამაზე არაფერი წერია, ე.ი. მის ფასთან პრეტენზია არ აქვთ. იმ მანქანის ფასი 2 წლის წინ იყო 20-25 ათასი დოლარი. ჩვენ უფრო ნაკლებად ვიყიდეთ — 19 ათას დოლარად. ახლა ამ მანქანის ფასი 20-22 ათასი დოლარია. ზუსტად იმიტომ ვიყიდეთ, რომ იაფი და კარგი იყო.

— ***დევნილებთან დაკავშირებით...***

— 4 ათასი დევნილი გვყავს მიღებული. ნახევარი მე მყავს მიღებული. ჰკითხეთ აქციის მონაწილე დევნილებს, რამდენჯერ იყვნენ ჩემთან. ჰკითხონ დევნილებს, ვინ წაიყვანა ის ადამიანები და ვინ მოუწყო მათ შეხვედრა პარლამენტში ბატონ პეტრე ცისკარიშვილთან, სადაც რაღაც საკითხები დადებითად გადაწყდა. თუ ეს არ დადასტურდა, ბოდიშს მოვიხდი.

— ***თქვენი აპარატის თანამშრომელ ზურაბ ზარანდიასთან დაკავშირებით რას იტყვით, რომელიც ამბობს, რომ მასზე ზეწოლა მოახდინეთ და ისე მოაწერინეთ ხელი?***

— ზოგორ უნდა მომეხდინა მასზე ზეწოლა. ზარანდიასთან დაკავშირებით არაფერს გეტყვით. არსებობს კონტროლის პალატის აქტი და შეგიძლიათ ნახოთ, რა წერია იქ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე ისეთი ძალა მაქვს, რომ კონტროლის პალატის საქმიანობაში ჩარევა შემეძლება, ძალიან ცდება. არ არის ასე.

— ***სერგი საჯაია ამბობს, რომ კონტროლის პალატის აქტში არ აისახა ის დარღვევები, რაც არის.***

— კი ბატონო, ეჭვი შეაქვთ კონტროლის პალატის აქტის სისწორეში. კონტროლის პალატა დღეს იმ დონეზეა, ნეტავ ასეთი ორგანიზაციები ჩვენთან და სხვა ქვეყნებშიც კიდევ ბევრი იყოს. მათ აქვთ თავისი მიდგომა, თავისი ხედვა და ისინი აკეთებენ ზუსტად იმას, რასაც ფიქრობენ და რაც ევალებათ. ამიტომ მე არანაირი კომენტარი ამ კუთხით არ მინდა გავაკეთო. ვიღაცას ვიღაცამ დაავალა. მაშინ მე გეკითხებით, კონტროლის პალატა სამი თვის განმავლობაში აქ რომ იჯდა, რატომ არ ადგა ეგ ადამიანი და არ უთხრა თავისით ის, რაც ახლა დაწერა? ეს არის რეალური კითხვა. ასევე, როგორც ვიცი, თქვენთვის გადმოცემულ განცხადებაში ეწერათ ჩემი სახლის თაობაზე, რომელიც სამი წელია დაუმთავრებელია. მე თქვენ წაგიყვანეთ და გიჩვენეთ, რა მდგომარეობაშია. სურათი კი, რომელიც თქვენ გადმოგცეს, არის ისეთი კუთხიდან გადაღებული, სადაც რეალურად არ ჩანს, რა მდგომარეობაშია სახლი შიგნიდან. მესერი და ფანჯრები ჩანს.

— ***შორიდან თუ შევხედავთ, მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება.***

— კარგად გამოიყურება მესერი. თქვენ თვითონ ნახეთ, რომ სახლი სრულიად დაუმთავრებელია. მას არ აქვს კიბე, მას არ აქვს კარი და ა.შ. მეოთხე წელია ამ სახლის მშენებლობა გაჩერებულია. მისი დამთავრების საშუალება არ მაქვს და დაწერილი მაქვს განცხადება, რომ ვერ ვამთავრებ. არის ასეთ მდგომარეობაში. ეს მშენებარე სახლი დეკლარაციაშიც ნაჩვენებია და ყველგან, სადაც საჭირო იყო. თუ მე, სამი მოწვევის, ორი პარლამენტის დეპუტატსა (ერთდროულად საქართველოსი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის) და უნივერსიტეტის ლექტორს არ შემეძლო თანდათანობით, ცოტ-ცოტა, რაღაც მეშენებინა (კიდევ დაუმთავრებელი მაქვს), მაშინ არ ვიცი, ვის უნდა შეძლებოდა ეს?

— ***სერგი საჯაიამ განაცხადა, თუ ეს კომისია შეიქმნებოდა, შიმშილობას ვწყვეტდიო...***

— მას არავინ ეკითხება კომისიის შექმნას. ის არ არის დეპუტატი, რომ ამაზე იზრუნოს. ამაზე შეიძლება მხოლოდ დეპუტატებმა იზრუნონ. ნუ ერევა სხვის კომპეტენციაში. ეს ჩვენი კომპტენციაა. თვითონ პრეზიდიუმის წევრებმა თქვეს, სანამ კონტროლის პალატის აქტს არ განვიხილავთ, სანამ მის წარდგინებას არ ვნახავთ, გავჩერდეთო.

— ***წარდგინება ჯერ არ მოსულა?***

— ეს ის დოკუმენტია, რომელიც მე თქვენ გადმოგეცით.

— ***იქ თქვენს ბინაზე იყო საუბარი?***

— წინამძღვრიშვილის ქუჩაზე არსებული ბინა არის არა 300 კვადრატული, არამედ 100 კვადრატული. ეს არის დედაჩემის ბინა, სადაც მე ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობ, რომელიც შევიძინეთ მას შემდეგ, რაც დედაჩემს (რომელიც სასტუმრო „ივერიაში" ცხოვრობდა) მისცეს კომპენსაცია. შვილებმაც დავამატეთ და მაშინ არის შეძენილი. მობრძანდით და ისიც ნახეთ.

ირაკლი ლომოური

# მკვლელობა ოპერის თეატრში

*(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)*

დასაწყისი წინა ნომრებში

— ვერ ვიტან, როცა მაბითურებენ... — ჩაიალაპარაკა ელისმა, სავარძელში როცა ჩავჯექი.

— ??

— შენი სკეპსისი ნამდვილად საფუძვლიანი იყო, გედი.

— სკეპსისი? კი მაგრამ, რას გულისხმობ, შეფ?

— ოკამის პრინციპზე რომ იკითხე, ფილოსოფიაში შეიძლება ეგრეა, მაგრამ ცხოვრებაშიცო? რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ყველაზე მარტივი ახსნა არ არის ყოველთვის ყველაზე სწორი და მართალი.

— მაგრამ დღევანდელი მაგალითი ხომ სწორედაც ოკამის პრინციპს ამტკიცებს?

— ვინ გითხრა?

— ვინ მითხრა? — წამით გავჩუმდი, თვალებში ჩავხედე, ხომ არ მაშაყირებს-მეთქი, — ვინ და შენ, შეფ! შენ თვითონ!

— გედი, ყველაფერს პირდაპირ რატომ იღებ?

— და, აბა, როგორ უნდა მოვიღო?

— როგორ და,.. რიკოშეტით.

— რიკოშეტით? ეს რას ნიშნავს?

— ინტუიცია უნდა განივითარო, გედი, ინტუიცია.

ელისაგატას გამოცანებით ლაპარაკის ერთობ არასასიამოვნო მანერა აქვს, ზოგჯერ აშკარად ზედმეტიც კი მოსდის... კიდევ კარგი, ანგელოზისდარი ხასიათი ანუ მოთმინება მაქვს... თორემ ვერ ავიტანდი.

— გინდა თქვა, რომ რუსუდან რუსია ტყუის? — ვეკითხები თითქმისდა მშვიდად.

— ყოველ შემთხვევაში, თამაშობს. — მომიგო ღიმილით, — გაიხსენე, სამსახიობოზე უნდოდა ჩაბარება. ნიჭი კი ჰქონია, აშკარად.

— და რაში სჭირდებოდა თამაში?

— სწორედ ამას გავარკვევთ ცოტა ხანში. მანამდე კი ერთ რაღაცაზე დაფიქრდი. ნუთუ ადამიანმა, რომელმაც ძმის გადასარჩენად ასეთი რაღაც მოტყვინა და ლამისაა ექსპრომტად ჩაატარა, ვერ მოახერხებდა უფრო რთული ოპერაციის წინასწარ დაგეგმვასა და განხორციელებას?

— და რატომ? რისთვის?

— ელემენტარულად, თუნდაც, შურის საძიებლად. ძმა ხომ დაეღუპა (სხვათა შორის, ეს თვითონ არ გვითხრა, სანამ არ ვკითხე — მიქციე ყურადღება?), და ამაში იგი, რაღა თქმა უნდა, ადელაიდას ადანაშაულებს. გარდა ამისა, ,კლეოპატრამ„ საკუთრივ მას დაუნგრია ცხოვრება. მომავალი, რომელიც იმ პატიოსან ვახოსთან შეიძლება ჰქონოდა. წარმოიდგინე, რუსუდან რუსიას ცხოვრება რა კოშმარი იქნებოდა. ამბიციური, გაბღენძილი, ნიმფომანი დედაკაცის ხელზე მოსამსახურეობა, მონა-მორჩილობა. ყველანაირი დამცირების უსიტყვოდ ატანა. ყველა კაპრიზის შესრულება. მისი გაუთავებელი საყვარლების ყურება. (ამბობდნენ, განსაკუთრებით ნორჩ, ქორფა ბიჭუნებზე მიუდისო გული„) არა, ნორმალური ადამიანი ამას ვერ გაუძლებდა. და იცი, სწორედ ამან დამაეჭვა, კრინტი რომ არ დაუძრავს თავის ცხოვრებაზე ადელაიდას ხელში. ისე ეჭირა თავი, თითქოსდა კმაყოფილი იყო საკუთარი ბედით. ერთხელ არ დაიჩივლა. ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ დასცდენია. და ამით გადაამლაშა. ის, რომ მიცვალებულზე მხოლოდ კარგს ამბობენ ან არაფერს, ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ქვეშიდან გამოსვლის ერთგვარი საშუალება იყო, მეტი არაფერი. ანუ ხრიკი. ისეთი რაღაცეები მოგვიყვა, იმდენად გადაგვიშალა გული, სრულიად დაუჯერებელია, ესოდენი კორექტულობა დაეცვა ამ,.. მონსტრის მიმართ.

— მონსტრის?

— აბა, ვინ იყო ადელაიდა? შენ რას დაარქმევდით? ესოდენი კორექტულობის გამოჩენა, რაც რუსუდან რუსიამ გამოიჩინა მის მიმართ, სტოელ ფილოსოფსაც კი გაუჭირდებოდა, მთელი ცხოვრება კლეოპატრას„ გვერდით რომ გაეტარებინა მოახლე თუ ხელზე მოსამსახურედ. უბრალოდ, ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია. სტილური ანალიზის ლოგიკიდან გამომდინარე. მოკლედ, მივხვდი და ინტუიციითაც ვიგრძენი, თამაშობს. ანუ მაბითურებს. ამას კი ვერ ვიტან. და ეხლა უკვე დროა გავარკვიოთ, რატომ გვეთამაშებოდა.

— და პროფესორი მამასახლისი?

— ორი ვარიანტია, ან შეთანხმებულად მოქმედებენ. თუკი მართალა პროფესორია, ვისაც ველაპარაკე. შეიძლება, მატერიალური ინტერესი აქვს. რუსიამ ერთხელ თუ მოპარა ადელაიდას სამკაულები, მეორეჯერ რა დაუშლიდა?... მაგრამ ვინ იცის, პროფესორს ველაპარაკე მართლა?.. ანდა, რატომ ჰქონდა ბლოკნოტში მისი ტელეფონი გამოწერილივით? ბუჩქებში როიალი რომაა დამალული, იმას ჰგავს. ადელაიდა ექიმებთან დარბოდაო. ანდა, მეორე ვარიანტი... შეიძლება პროფესორი მამასახლისი უბრალოდ შეცდომაში შეიყვანა.

— როგორ მოახერხებდა?

— გახსოვს, რომ თქვა, მეც იქ ვიყავი, როცა ანალიზს უკეთებდნენო. შეიძლება ანალიზისთვის აღებული სინჯი შეცვალა. ანდა შეცვალა დასკვნა, რაც გაცილებით უფრო ადვილი გასაკეთებელია. ადელაიდას თვითმკვლელობა„ მოტივირებული რომ გამოჩენილიყო. ამის მოხერხება სავსებით შესაძლებელია, თუკი ადამიანი ძალიან მოინდომებს.

— შეფ, ეს ყველაფერი ხომ ცარიელი ეჭვებია. აბა, როგორ დაამტკიცებ ამ ყველაფერს?!

— ეხლავე, ერთი წამით.

ელისმა მობილურზე ნომერი აკრიფა:

— ალო, გუჯა, აგატა ვარ... გამარჯობა... შენ ხო ისევ ონკოლოგიურში მუშაობ?... სამსახურში ხარ ეხლა?.. ძალიან კარგი... შეგიძლია დამეხმარო?.. რა და შეგიძლია გამირკვიო, ადელაიდა პატაშურმა,.. კი, იმან, მომღერალმა,.. ბოლოს როდის გაიკეთა თქვენთან ანალიზები? და რა უთხრეს?.. შეგიძლია? ძალიან კარგი. რამდენ ხანში დაგირეკო? ო კეი. ძმა ხარ.

ელისმა მობილური გათიშა, ჩაილაპარაკა:

— გუჯა ჩემი კლასელია. ბავშვობის მეგობარი.

წამით დაფიქრდა, ბლოკნოტი გადაფურცლა და მერე უკვე ქალაქის ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა:

— ბატონო ნოდარ,.. დიახ, ელისაგატა ვარ... როგორ ბრძანდებით? მეც არამიშავს. ერთი თხოვნა მაქვს. თუ გაქვთ ინფორმაცია ტერარიუმების შესახებ... დიახ, ტერარიუმების... დიახ, ჩვენთან... აჰა... დაგელოდებით... (პაუზა) კერძო ტერარიუმებიც კი არსებობს?.. რა საინტერესოა... ეგ არ ვიცოდი... როდის დაუშვეს კანონით? აჰა... ევროსაბჭოს მოთხოვნა იყო? და რატომ? აა... სულ რამდენია თბილისში?... სამი?... შეგიძლიათ მისამართები ჩამაწერინოთ?.. დიახ, თუ შეიძლება... დაგელოდებით... დიახ... გისმენთ... ვიწერ... დიახ,.. დიახ, გასაგებია. ძალიან დიდი მადლობა. მეუღლეს მოკითხვა. ნახვამდის.

— ბატონი ნოდარი ჩემი ნამდვილი ლესტრეიდია, — ჩაიალაპარაკა ელისმა ხუმრობის ტინით, ფურცელი აიღო, რომელზეც ეს-ესაა მისამართები ჩამოწერა და იმ ბარათის გვერდით დადო მაგიდაზე, რომელზეც რუსუდან რუსიამ თავისი სახლის მისამართი დაუწერა. დახედა, შეადარა და მხოლოდ ესა თქვა:

— ო, იეს!

და ორივე ქაღალდი უხმოდ გამომიწოდა. გამოვართვი, დავხედე... თავიდან იმ ფურცელზე, სადაც სამი მისამართი ეწერა, თითქმის ვერაფერი გავარჩიე, — ისეთი გაკრული ხელი აქვს ელისაგატას, — მაგრამ მერე თვალი შევაჩვიე და რას ვხედავ: ერთ-ერთი იმ მისამართს ემთხვევა, რომელიც რუსუდან რუსიამ დაწერა!

— შეფ! ასე არ ვთამაშობ! უკვე გახსენი საქმე? — წყენით ვიუბნები. აბა, ხომ არ ვეტყვი, რომ ნამდვილი სუპერ შერლოკ კრისტია თუ აგატა ჰოლმსი, მაგრამ ელისგატამ ხელის მოძრაობით მანიშნა, გაჩუმდიო. თურმე მობილურზე რეკავს ისევ.

— ალო, გუჯა, მე ვარ. გამიგე რამე? აჰა... არაფერი? სულ არაფერი?... და როდის გაიკეთა?.. გუშინწინ?... გულგახეთქილი მოვარდნილა?... მაგრამ ახალმა ანალიზმა არაფერი აჩვენა?.. ესე იგი, შეცდომა მოხდა?.. აჰა... ხდება ხოლმე ზოგჯერ?.. აა... ძალიან დამეხმარე... ძმა ხარ. დიდი მალდობა... კი... შევიკრიბოთ უახლოეს ხანში. ნინჩო მომიკითხე! აბა, კარგად!

ელისმა ტელეფონი გათიშა, ყურის ბიბილო მოისრისა და მეუბნება:

— სერ! (როცა „სერს“ მიწოდებს, ესე იგი, ძალიან კარგ გუნებაზეა) ადელაიდას გუშინწინ გაუკეთებია ანალიზი და არავითარი კიბო არ აღმოაჩნდა. დაზაფრული მივარდნილა ონკოცენტრში, ცუდი ანალიზი მაქვსო, მაგრამ გადაამოწმეს და ვერაფერი უპოვეს. ეს კი რას ნიშნავს?

— თვითმკვლელობის მოტივი არ ჰქონდა!

— მართალია... და, აი, ეს რას ნიშნავს? — და ფურცლებზე მანიშნა.

— რუსუდან რუსიას თავისუფლად შეეძლო ადელაიდას მოსაკლავად გიურზა ეშოვნა.— მართალია. ეტყობა მისი გამოზრდილი ძმა გერპეტოლოგი გახდა... ლიცენზიაც მიუღია ტერარიუმის გასახსნელად. ისე, გედი, წარმოიდგინე, რამხელა ცთუნების წინაშეშიდგა რუსუდან რუსია. ერთი კვირის წინ გაიგო, ადელაიდას კიბო სჭირს და მალე მოკვდება. როგორ გაიხარებდა!.. და უცებ გუშინწინ იგებს, საღ-სალამათია და შეიძლება კიდევ ასი წელი იცოცხლოს! არ გაგიჟდებოდა?! მეორე დღეს მისი სასიქადულო„ კლეოპატრა ოპერის სცენაზე ბუტაფორიული გველისგან უნდა მოკვდეს„, ამ დროს, სახლში (თუ ეზოში) ცინცხალი გიურზა ჰყავს. ჰოდა, ასეთ ცთუნებას ველარ გაუძლო, ვერც მაშინ და ვერც ეხლა... იმპულსური ტიპია, ნამდვილი მსახიობივით ემოციური. იმპულსურად იმოქმედა. სპონტანურად მოქმედება, ეტყობა, ხასიათში აქვს... არ დაფიქრდა.? და იმიტომაც გაიჭედა. მაშინაც და ახლაც. დიდი სიურპრიზი კი იქნება მისთვის, როცა ხვალ დააპატიმრებენ. — წამით დადუმდა, თავი გადააქნია, თითქოს რაღაც აზრი მოიშორაო, ყურში ჩარჩენილი წყლის წვეთივით შხაპის მერე, და მეკითხება, — გედი, იცი, რა არის ყველაზე აუცილებელი კერძო დეტექტივისათვის ქალაქ თბილისში?

— რა?

— ნაცნობობა. კაცი უნდა გყავდეს საჭირო ადგილას. საჭირო კაცი საჭირო ადგილას. დანარჩენი კი უკვე ლოგიკისა და,.. — წამიერი პაუზა დაიჭირა, შემდეგ კი თითქმის ჩურჩულით გააგრძელა, — ელემენტარული ინტუიციის საქმეა. ქალური ინტუიციის!

თვალი ჩამიკრა და დარტსს ისარი სტყორცნა.

❖ ❖ ❖

როცა ქუჩაში გამოვედით (ყოველი ახალგახსნილი საქმის მერე კაფე „კოლუბარიუმში“ მივდივართ, იაპონური დელიკატესის, ფუგუს„X მისართმევად — ასეთი ორიგინალური ტრადიცია გვაქვს), ვითომცდა სასხვათაშორისოდ ჩავილაპარაკე:

— რა იდიოტური შემთხვევაა, არა? სრული აბსურდი.

— ყველაზე სენსაციური საქმეები ყველაზე პრიმიტიულია, როგორც წესი... არც მე მხიბლავს. — ასევე სასხვათაშორისოდ მომიგო.

— არა, შეფ, ასეთი რაღაც დაწერილი რომ მენახა სადმე ჟურნალში, უბრალოდ გამეცინებოდა... ძაღლუმადური ბოდვაა!

— ჰოდა, დაწერე. გავიცინოთ. ძაღლუმადურად.

— კიდევაც დავწერ. — ცალყბად გავუღიმე, — შაყირში.

— ეჰ, რომ იცოდე, გედი, — მოულოდნელად დაფიქრებით ჩაილაპარაკა, — ზოგჯერ ისეთი შემთხვევები ხდება რეალურად, რომ დაიწეროს, არავინ არასიდეს დაიჯერებს.

— შეფ, გქონია ეგეთი საქმე?

არაფერი მიპასუხა. ესე იგი, ჰქონია„, ვიმსჯელე ლოგიკურად. და ვეუბნები:

— ესე იგი, არა გქონია, შეფ!

ირონიულად გამომხედა.

— შეფ, ჩვენს ქალაქში მართლა საინტერესო დანაშაული არ ხდება. ყველაფერი ტრივიალურია და ბანალურზე უფრო ბანალური!

წამიერი პაუზის მერე მეუბნება:

— ბერსერკის ხანჯლით მოკლული ფოლკლორისტის შესახებ არ გაგიგია?

— არა.მომიყევი!

— მმ... კარგი.

და მომიყვა.

მაგრამ ეს უკვე სრულად სხვა ისტორიაა...

❖ ❖ ❖

თევზი, რომელიც თუ სწორადაა მომზადებული, ასიდან ერთ-ორ კაცს კლავს, თუ არასწორად ასიდან ასს.

**დასასრული**


## განცხადება

**შპს „სარკეს“ საერთო კრების მოწვევის თაობაზე**

2011 წლის 14 მარტს, დღის 12 საათზე, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №111, I სართული, პარტნიორთა ჯგუფის ინიციატივით, განმეორებით გაიმართება შპს „სარკეს“ (ს/კ:208 145 452) პარტნიორთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

დღის წესრიგი:

1. საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის ფულადი შენატანით შეცვლა;
2. საწესდებო კაპიტალის შემცირება;
3. საწესდებო კაპიტალში შენატანების განსახორციელებლად ვადებისა და შენატანების ოდენობის განსაზღვრა თითოეული პარტნიორისათვის საზოგადოებაში მათი წილის შესაბამისად.

*შპს „სარკეს“ იურისტი: ელისო ბუთხუზი*


ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად

შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## განცხადებები

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში“ ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი მანანა**

**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წამალებზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

**მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# „იუვენტუსი“ მწვრთნელს ულტიმატუმს უყენებს

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ძალიან ბევრი ალოგიკური შედეგი დაფიქსირდა, რასაც იქაურ გუნდებში ან მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა, ანაც წყალი შეუყენა.

არ არის გამორიცხული, უახლოეს ტურებში შეიცვალოს ტურინის „იუვენტუსის“ თავკაცი. უკანასკნელ ტურებში „ბებერი ქალბატონის“ ნაჩვენები შედეგებით ყველა უკმაყოფილოა და წარუმატებლობის მიზეზების დასადგენად ხელს ყველა ლუიჯი დელ ნერისკენ იშვერს.

იტალიური მედიის ცნობით, ბოლო ტურში „ბოლონიასთან“ (0:2) განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ ტურინული კლუბის ფან-კლუბის წარმომადგენლებმა „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებს წერილი გაუგზავნეს, სადაც მთავარი მოთხოვნა მწვრთნელის შეცვლა იყო.

— ჩემი ტელეფონი თითქმის არ ჩუმდება. გულშემატკივრები მთელი იტალიიდან მიკავშირდებიან და ჩემს მოთხოვნას უერთდებიან. შექმნილი სიტუაციით ყველანი იმედგაცრუებული ვართ. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობას მივმართავთ, გაათავისუფლონ დელ ნერი. უკვე საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მას „იუვენტუსის“ დიდ გამარჯვებებამდე მიყვანა არ შეუძლია. ვფიქრობთ, მის თანამდებობაზე დატოვებას აზრი არ აქვს, — ამბობს ფანკლუბის თავმჯდომარე ალბერტო ბონიფაცი.

— როგორც ჩანს, გულშემატკივართა აზრს იზიარებს ტურინული კლუბის პრეზიდენტი ანდრეა ანიელი. მართალია, ჯერჯერობით დელ ნერი პოსტს ინარჩუნებს, მაგრამ უკვე ულტიმატუმის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. იტალიური მედიის ცნობით, თუ „იუვენტუსი“ მომდევნო ტურში „მილანს“ ვერ დაამარცხებს, დელ ნერი თანამდებობას დატოვებს.

იტალიური პრესა კი დელ ნერის სავარაუდო შემცვლელზეც ალაპარაკდა. მათი აზრით, „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების ყველაზე მეტი შანსი მის ყოფილ ვარსკვლავს, ჩეხ პაველ ნედვედს აქვს, რომელიც სადღეისოდ ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობს. ნედვედის გარდა, სახელდება მარჩელო ლიპის, კლაუდიო ჯენტილესა და ჯანლუკა ვიალის კანდიდატურებიც.

თუ დელ ნერის შანსი „მილანთან“ მატჩამდე აქვს, ვერაფერმა უშველა „პალერმოს“ მთავარ მწვრთნელ დელიო როსის. ან კი რას უშველიდა — მისმა გუნდმა ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე 0:7 წააგო „უდინეზესთან“, რამაც სიცილიური კლუბის გიჟმაჟი პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი საშინლად გააცოფა და როსის ეს მარცხი არ აპატია. ძამპარინი უფრო იმის გამო იყო გაგიჟებული, რომ, გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად, როსიმ უტიფრად განაცხადა, თანამდებობას ჩემი ნებით არ დავტოვებო, ჰოდა, კარიც ცხვირწინ მიუხურეს.

პრინციპში, როსის დღეები ისედაც დათვლილი იყო და სიცილიელები მის გაშვებას იმიტომ აჭიანურებდნენ, რომ შემცვლელის ძიებაში იყვნენ. ისიც მალევე გამოიძებნა და ამიერიდან როსის ადგილზე სერსე კოსმი იმუშავებს.

— დელიო როსი გათავისუფლებულია „პალერმოს“ თავკაცის პოსტიდან. კლუბი მადლობას უხდის შესრულებული სამუშაოსთვის და მომავალში წარმატებებს უსურვებს. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი სერსე კოსმი იმუშავებს, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას სამშაბათიდან შეუდგება, — აღნიშნულია კლუბის ვებგვერდზე.

რაც შეეხება კოსმის, ახალი მწვრთნელი 52 წლისაა, უმუშავია „პერუჯაში“, „ჯენოაში“, „უდინეზესა“ და „ბრეშაში“ და, კლუბების სახელწოდებებით მიხვდებით, რომ სერიოზული წარმატებისთვის აქამდე არ მიუღწევია.

# ქეცბაია ნაკრებში გვაზავას გასინჯავს

საქართველოს ნაკრები 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უახლოეს მატჩს 26 მარტს თბილისში ხორვატიის ნაკრებთან გამართავს. ნაკრების მთავარი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას განცხადებით, მისთვის გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე გამოკვეთილია. თუმცა, როგორც ჩანს, გამოძახებულთა შორის ერთ სიახლეს მაინც უნდა ველოდოთ. როგორც შევიტყვეთ, ქეცბაია ხორვატებთან მატჩისთვის ნაკრებში გროზნოს „ტერეკის“ ნახევარმცველ ლევან გვაზავას მიიწვევს.

გვაზავა საყრდენი ნახევარმცველია და მისი გამოძახების რამდენიმე ვერსია შეიძლება მოიძებნოს. ერთი ის, რომ გვაზავა კარგად თამაშობს რუსეთის ჩემპიონატში და მისი გამოცდა საჭიროც კია, მაგრამ, რამდენად მნიშვნელოვან მატჩში, ეს უკვე სხვა საკითხია. ამის გარდა, როგორც ირკვევა, ქეცბაია არ აპირებს, ამ მატჩისთვის დაეყრდნოს მალხაზ ასათიანს, რომელიც აქამდე უკლუბოდ არის და სათამაშო პრაქტიკა არ გააჩნია. ამის გამო ქეცბაიამ შესაძლოა დაცვის ცენტრში დახიოს ზურაბ ხიზანიშვილი, ხოლო სამაგიეროდ იქ გამოთავისუფლებულ ადგილზე ახალი ფეხბურთელი გასინჯოს.

მოკლედ, ვერსია ბევრი შეიძლება იყოს, მთავარი აზრი კი თავად ქეცბაიას გონებაშია.

ერთია, გვაზავას გამოძახება პირველი არ არის, მაგრამ, რიგი მიზეზების გამო, ფეხბურთელი ნაკრებში ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. ქეცბაიამ ფეხბურთელი პირველად გასულ წელს კამერუნთან მატჩისთვის გამოიძახა, მაგრამ მაშინ გვაზავა საპასპორტო პრობლემების გამო ვერ ჩამოვიდა. მოგვიანებით ეს საკითხი მოგვარდა და ქეცბაიამ ამჯერად მოლდოველებთან სათამაშოდ იხმო ფეხბურთელი, თუმცა ლევანი არც იმ შეკრებაზე გამოცხადებულა. მიზეზი ამჯერად კლუბში საკონტრაქტო პრობლემებს უკავშირდებოდა.

ასეა თუ ისე, გვაზავას ამჯერად შეკრებაზე ელიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: „ფედერერთან ორ სეტში მოგება დიდი წარმატებაა“

სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა დუბაიში გამართული ტურნირის ფინალში როჯერ ფედერერი დაამარცხა და სეზონის მეორე ტიტული მოიგო. გარდა ამისა, ჯოკოვიჩმა ზედიზედ მესამედ იმარჯვა არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში ჩატარებულ „სლემ ტურნირზე“.

დუბაიში პირველ-მეორე ადგილზე განთესილი ჩოგბურთელები ერთმანეთთან შესახვედრად ბადის სხვადასხვა მხრიდან მეთოდურად მიიწევდნენ. ფინალამდე ფედერერმა გზა ისე განვლო, რომ ერთი სეტიც კი არ დაუთმია, თუმცა ფინალში სერბმა ჩოგბურთელმა შანსი არ დაუტოვა — ჯოკოვიჩმა მეტოქეს 4-ჯერ აართვა მოწოდება და თავად მხოლოდ ერთხელ დათმო. საბოლოო ჯამში, ნოვაკმა 6:3; 6:3 იმარჯვა.



მოკლედ, ჯოკოვიჩმა წლის მეორე ტიტული მოიგო, ამასთან, ზედიზედ მეორედ მოახერხა მსოფლიოს მეორე ჩოგნის დამარცხება.

სერბმა ჩოგბურთელმა ამ გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩი:**

— ვიცოდი, რა ამოცანებიც მექნებოდა კორტზე გადასაწყვეტი. ისიც გათავისებული მქონდა, რომ თუ ფედერერის დამარცხება მინდოდა, ყველაფერი საუკეთესო უნდა მეჩვენებინა. ფინალურ მატჩში კარგი მოწოდებები გამომდიოდა, განსაკუთრებით — პირველ სეტში. ერთადერთი გამონაკლისი ის გეიმი იყო, რომელიც წავაგე, თუმცა, არც სხვა კომპონენტებში გამოვიყურებოდი ურიგოდ.

*— თქვენ მიერ ჩატარებულ ნახევარფინალურ მატჩს კატასტროფული უწოდეთ.*

— კარგად მახსოვს.

*— სამაგიეროდ, ფინალში დიდებულად ითამაშეთ. როგორ ახსნით თამაშის ასეთ ცვალებადობას?*

— ნახევარფინალური მატჩისგან განსხვავებით, კორტზე სხვა მოტივაციით გავედი. მეტოქედ ხომ თავად ფედერერი მყავდა.

*— ძლიერი სიცხისა და გაცილებით სწრაფი საფარის შემდეგ რთული იყო ადაპტირება იმ კლიმატურ პირობებთან, რომელიც ფინალურ მატჩში იყო?*

— არანაირად.

*— მიმდინარე წელს ტურნირი გაცილებით იოლად მოიგეთ. შარშან თითქმის ყველა მატჩში დიდი ბრძოლა გადაიტანეთ.*

— გეთანხმებით, თუმცა, წელს სულ სხვა გავხდი. ახლა უკეთესი მოწოდება მაქვს, გასულ წელს კი ასე არ იყო და ყველა ბურთზე ბრძოლა მიხდებოდა, რაც დიდ ენერგიას მართმევდა. ახლა გაცილებით იოლად ვიგებ ქულებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

*— თუ ტექნიკურ ელემენტებს არ ჩავთვლით, რა შეიცვალა თქვენს მოწოდებაში?*

— ყველამ კარგად იცით, რომ ეს მხოლოდ მძიმე და რთული მუშაობის შედეგია. ამის თაობაზე უკვე მილიონჯერ მკითხეს. არაფერი შემიცვლია — ასე მოხდა და მორჩა. ერთი პერიოდი მხრის პრობლემა მქონდა და შემდეგ ავტომატურად დამრჩა ჩვევა, ხელით ისე არ ვიმუშაო, როგორც საჭიროა და როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. ახლა ეს პრობლემა მომეხსნა. ძალიან ბევრი ვიმოშავე და კარგი მოწოდებაც გამიხდა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც. ჩემი თავი უნდა დამერწმუნებინა, რომ ამას მოვახერხებდი და ასეც მოხდა.

*— თუ რამდენიმე წლით უკან დავიხევთ, შეგიძლიათ შეადაროთ, როგორ თამაშობდით მაშინ ფედერერთან და რა შეიცვალა შემდეგში?*

— ვფიქრობ, ამ წლების განმავლობაში შევავსე ჩემი გამოცდილება და უკვე ვიცი, როგორ უნდა ვითამაშო გადამწყვეტი მატჩები. ერთმანეთსაც უფრო უკეთესად ვიცნობთ, რადგან ბევრჯერ გადავყრივართ კორტზე. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ჩვენი მატჩების ბედის გადაწყვეტა რამდენიმე გათამაშებას შეუძლია და უპირატესობა ექნება მას, რომელიც უფრო მშვიდი და კონცენტრირებული იქნება. საერთოდ, როჯერთან და რაფასთან (ნადალი) თამაშისას უნდა აჩვენო იმაზე მეტი, რაც იცი. მეტიც, ასეთი თამაში საჭიროა მათთანაც, ვინც საუკეთესო ათეულშია.

*— რას ფიქრობთ დღევანდელი ფედერერის თამაშზე?*

— მთელი მატჩის განმავლობაში დაუშვა მისთვის მიუღებლად ბევრი უნებლიე შეცდომა. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ის არ იყო თავის საუკეთესო ფორმაში. თუმცა, ასეთი დღეები ყველას აქვს და ეს ნორმალური მოვლენაა თვით ფედერერისთვისაც კი და, ამასთან, ტურნირის გადამწყვეტ ფაზაში. მეორე მხრივ, მეც კარგად ვითამაშე.

*— ფიქრობთ, რომ ეს შეცდომები თქვენ დააშვებინეთ. მისი თამაშიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად ცდებოდა.*

— მე შევეცადე, შემეთავაზებინა ის თამაში, რომელიც მისთვის არასასურველი იქნებოდა და ეს გამომივიდა. კარგ მოწოდებასთან ერთად, ბურთის კარგი მიღებაც მქონდა, ურიგოდ არც უკანა ხაზზე მითამაშია და ხშირად ვცვლიდი თამაშის ტემპს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იყო იმის მიზეზი, რომ ფედერერი ხშირად ცდებოდა.

*— იმ მომენტში, როდესაც მეორე სეტში თქვენი მოწოდება დათმეთ, უცნაური ჟესტი გააკეთეთ. დარწმუნებული ვარ, ის რაღაცას ნიშნავდა და კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით, რა გქონდათ მხედველობაში?*

— იმ გეიმში მთლიანად შევიცვალე. ჩემი მოწოდება გახდა ნელი და არაზუსტი, თუმცა, ისევ მალე მოვახერხე კონცენტრაცია და შემდეგ ზედიზედ 2 გეიმი მოვიგე, რითიც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

*— მაღალ დონეზე თამაშთან ერთად, განსაკუთრებული მიზნები რა გაქვთ?*

— ამის თაობაზეც ბევრჯერ მითქვამს. მინდა, მოვიგო ტურნირები, სადაც კი ვითამაშებ, შევინარჩუნო სათამაშო ფორმა და ვითამაშო ამ დონეზე. მინდა, ჩემს ჯანმრთელობას არანაირი პრობლემა არ ჰქონდეს. ბოლო 2 თვე დიდებული გამომივიდა. დარწმუნებული ვარ, თუ ამ დონეზე თამაშს გავაგრძელებ, ტოპ-3-ში ადგილს დავიმკვიდრებ.

*— დევისის თასზე თამაშს აპირებთ?*

— ახლა უკვე აღარ ვიცი. ჯერ კიდევ ფედერერთან გამარჯვების ეიფორიაში ვარ, თუმცა, გადაწყვეტილებას მალე მივიღებ.

*— თუ ფედერერთან თქვენს ყველა მატჩს გავიხსენებთ, საბოლოო გამარჯვებას აღწევდა ის, ვინც პირველ რაუნდს იგებდა. ეს, უბრალოდ, დამთხვევაა თუ?..*

— კარგად ვერ გავიგე, რას გულისხმობთ პირველ რაუნდში.

*— პირველ სეტს.*

— სიმართლე გითხრათ, ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ. ყველა შემთხვევაში პირველი სეტის მოგება უკვე სოლიდური უპირატესობაა და, რადგან წინ ხარ, შეგიძლია, ამის შემდეგ ისე ითამაშო, რომ მეტოქეს თავისი თამაშის შანსი არ მისცე. თუმცა, როგორც მახსოვს, სხვა სიტუაციებიც ყოფილა ჩვენს შემთხვევებში და ორივეს მოგვიგია ისეთი მატჩები, სადაც პირველი სეტი წაგებული გვქონდა.

*— უკვე ზედიზედ მეორედ დაამარცხეთ ფედერერი. ეს თქვენთვის განსაკუთრებულია?*

— ფედერერთან ყველა მოგება უკვე დიდი წარმატებაა. ის დიდი ჩოგბურთელია, ხანგრძლივი დროის მანძილზე რეიტინგის სათავეში იმყოფებოდა და უამრავი ტიტული აქვს მოგებული. ამიტომ მასთან თამაში ძალიან რთულია, მით უფრო — დასკვნით ეტაპზე. ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ რამდენად ძლიერია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მასთან 2 სეტში მოგება კი დიდებული მაჩვენებელია. თუმცა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და, დარწმუნებული ვარ, იმაზე მეტს შევძლებ, რაც ჩოგბურთში აქამდე მიკეთებია. სწორედ ამისკენ ვისწრაფვი.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-ვესტ ბრომვიჩი ...................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 17 | 9 | 1 | 61:25 | 60 |
| 2.არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3.სიტი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:25 | 50 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| 7.ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39:38 | 37 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | 37 |
| 9.ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:39 | 36 |
| 10.სტოკი | 28 | 10 | 4 | 14 | 32:35 | 34 |
| 11.ევერტონი | 28 | 7 | 12 | 8 | 35:36 | 33 |
| 12.ას. ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:47 | 33 |
| 13.ფულემი | 28 | 6 | 14 | 8 | 29:29 | 32 |
| 14.ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35:46 | 32 |
| 15.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 17.ვესტ ბრომ. | 28 | 7 | 8 | 13 | 36:53 | 29 |
| 18.ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 19.ვესტ ჰემი | 28 | 6 | 10 | 12 | 33:49 | 28 |
| 20.უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:46 | 27 |

**იტალია. სერია ა**

მილანი-ნაპოლი ..................................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49:20 | 58 |
| 2.ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49:29 | 53 |
| 3.ნაპოლი | 27 | 16 | 4 | 7 | 41:25 | 52 |
| 4.ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33:23 | 48 |
| 5.უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49:30 | 47 |
| 6.რომა | 27 | 12 | 7 | 8 | 41:38 | 43 |
| 7.იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41:34 | 41 |
| 8.პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44:43 | 40 |
| 9.კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33:28 | 38 |
| 10.ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25:27 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29:34 | 35 |
| 12.ფიორენტ. | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| 13.კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28:30 | 31 |
| 14.სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23:29 | 31 |
| 15.კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 25:35 | 29 |
| 16.პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27:38 | 28 |
| 17.ლეჩე | 27 | 7 | 7 | 13 | 30:48 | 28 |
| 18.ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20:36 | 25 |
| 19.ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22:35 | 24 |
| 20.ბარი | 27 | 3 | 7 | 17 | 15:41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ალმერია ..................................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 76:13 | 68 |
| 2.რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55:19 | 61 |
| 3.ვალენსია | 25 | 15 | 6 | 4 | 40:26 | 51 |
| 4.ვილიარ. | 25 | 14 | 5 | 6 | 44:26 | 47 |
| 5.ესპანიოლი | 25 | 13 | 1 | 11 | 34:36 | 40 |
| 6.ბილბაო | 25 | 12 | 2 | 11 | 39:36 | 38 |
| 7.სევილია | 25 | 10 | 5 | 10 | 38:40 | 35 |
| 8.ატლეტიკო | 25 | 10 | 4 | 11 | 35:33 | 34 |
| 9.სოსიედ. | 25 | 11 | 1 | 13 | 36:41 | 34 |
| 10.ხეტაფე | 25 | 9 | 5 | 11 | 35:38 | 32 |
| 11.მალიორკა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:34 | 31 |
| 12.რასინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:35 | 29 |
| 13.ლევანტე | 25 | 8 | 3 | 14 | 26:37 | 27 |
| 14.დეპორტ. | 25 | 6 | 9 | 10 | 21:35 | 27 |
| 15.ერკულესი | 25 | 7 | 5 | 13 | 24:38 | 26 |
| 16.ოსასუნა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:32 | 25 |
| 17.ხიხონი | 25 | 5 | 10 | 10 | 23:31 | 25 |
| 18.სარაგოსა | 25 | 5 | 9 | 11 | 22:37 | 24 |
| 19.მალაგა | 25 | 6 | 5 | 14 | 34:51 | 23 |
| 20.ალმერია | 25 | 4 | 9 | 12 | 25:43 | 21 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-აუე ........................................ 2:1

**საფრანგეთი. II ლიგა**

ლე ავრი-ტური ......................................... 4:3

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

სიტარდი-იგლზი ...................................... 0:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნავალი-ბრაგა ......................................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 21 | 19 | 2 | 0 | 49:7 | 59 |
| 2.ბენფიკა | 21 | 17 | 0 | 4 | 44:17 | 51 |
| 3.სპორტინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 32:25 | 33 |
| 4.ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 22:22 | 32 |
| 5.გიმარაეში | 21 | 9 | 5 | 7 | 25:26 | 32 |
| 6.ნაციონალი | 21 | 8 | 5 | 8 | 18:23 | 29 |
| 7.ბრაგა | 21 | 8 | 4 | 9 | 34:28 | 28 |
| 8.ლეირია | 21 | 8 | 4 | 9 | 18:25 | 28 |
| 9.ოლჰანენსე | 21 | 6 | 9 | 6 | 19:21 | 27 |
| 10.ბეირამარი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:24 | 25 |
| 11.რიუ ავე | 21 | 6 | 5 | 10 | 21:25 | 23 |
| 12.აკადემიკა | 21 | 6 | 5 | 10 | 27:35 | 23 |
| 13.მარიტიმუ | 21 | 5 | 7 | 9 | 21:24 | 22 |
| 14.სეტუბალი | 21 | 4 | 7 | 10 | 16:30 | 19 |
| 15.ნავალი | 21 | 3 | 6 | 12 | 18:37 | 15 |
| 16.პორტიმონ. | 21 | 3 | 5 | 13 | 19:37 | 14 |

**რუსეთი. თასი**

ცსკა-შინიკი ............................................. 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანტალია-ბეშიქთაში ............................. 0:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბანიკი-სპარტა ........................................ 0:2

**არგენტინა. კლაუსურა**

ინდეპენდიენტე-რივერ პლეიტი ....... 0:1

ურაკანი-სარანდი .................................. 1:1

ტიგრე-ოლდ ბოიზი .............................. 1:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ჩიკაგო ........................ 77:105

ნიუ ჯერსი-ფინიქსი .......... 103:104(ოტ)

დენვერი-ატალანტა ........................ 100:90

ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 7 მოხსნა

იუტა-ბოსტონი .............................. 102:107

საკრამენტო-კლიპერსი ................ 105:99

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

მინესოტა-ჩიკაგო ................................... 2:4

ლოს ანჯელესი-დეტროიტი ............. 4:7

# მიხაი ზიჩის ნამუშევრები ეროვნულ ბიბლიოთეკაშია

ეკა ირემაშვილი



ცნობილი უნგრელი ფერმწერის მიხაი ზიჩის ნამუშევრები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოიფინება. „ვეფხისტყაოსნის“ ერთადერთი უცხოელი ილუსტრატორის, მიხაი ზიჩის, ნამუშევრების გამოფენის გახსნა 2 მარტს არის დაგეგმილი.

ექსპოზიციის ორგანიზატორები უნგრეთის რესპუბლიკის საელჩო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი არიან.

საგანგებოდ ამ გამოფენისთვის მიხაი ზიჩის შვილთაშვილს ელიზაბეტ მარია ჩიჩერი□რონაი□სმიტს პირადი კოლექციიდან ფერმწერის ნამუშევრები ჩამოაქვს. ცნობილი უნგრელი მხატვრის შემოქმედება საქართველოში ასე მრავალფეროვნად პირველად იქნება წარმოდგენილი.

დამთვალიერებელი იხილავს, როგორ იქმნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციები, რომელიც ზიჩიმ ქართული ინტელიგენციის თხოვნით შექმნა. მხატვარმა 34 სურათი შეასრულა, აქედან კომისიამ 27 შეარჩია, ნამუშევრები კი ზიჩიმ ქართველ ხალხს უსასყიდლოდ გადასცა.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ორიგინალები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ფართო საზოგადოებას გამოფენის ნახვა 2 მარტიდან შეეძლება. ექსპოზიცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში 6 მარტამდე გაგრძელდება.

# პატრიარქი კიდევ 370 ბავშვს მონათლავს

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 3 მარტს, წმინდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში კიდევ 370 ბავშვს მონათლავს.

3 მარტს, დედის დღეს, ტაძარში რიგით მე-16 საყოველთაო ნათლობა გაიმართება, რომელშიც ჯვარდაწერილი ოჯახების ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვი გაქრისტიანდება და მისი სულიერი მშობელი ილია მეორე იქნება.

პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში“ 25-დან 27 თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა. პატრიარქის ნათლულობის სურვილი 370 პატარას მშობელმა გამოთქვა.

ამ ეტაპზე მის უწმინდესობას 7.700 ნათლული ჰყავს. ამ ტრადიციას ილია მეორემ 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე ჩაუყარა საფუძველი. ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პატრიარქმა გამოთქვა სურვილი, მშობლების თანხმობის შემთხვევაში, მოენათლა ჯვარდაწერილი ოჯახის ყოველი მესამე და შემდგომი შვილი.

— უკვე 7.700 ნათლული მყავს. ისინი ყოველ ჯვარდაწერილ ოჯახში მესამე შვილები არიან, რომლებიც შეიძლება არც დაბადებულიყვნენ. ჩემი დიდი სურვილია, საქართველოში შობადობა კიდევ უფრო გაიზარდოს, — განაცხადა ილია მეორემ.

ახალი წლის დადგომისთანავე კი მისმა უწმინდესობამ საზოგადოებას სიონის ტაძარში ახალი განჩინება გააცნო — მშობლების სურვილის შემთხვევაში, ჯვარდაწერილი წყვილის მეოთხე შვილის ნათლიაც ილია მეორე იქნება. მათ სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილისა და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მცველის ტიტული მიენიჭებათ, არც იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა გაუფრთხილდნენ საპატრიარქო ტახტს, რათა ქვეყანამ სიძლიერე შეინარჩუნოს.

# „მგზავრები“ მიუსაფარ ბავშვებს დაეხმარებიან

ეკა ირემაშვილი

ჯგუფი „მგზავრები“ ახალგაზრდებისა და მოზარდებისთვის ახალ საკონცერტო სერიას იწყებს. „ერთმანეთისთვის“ — ასეთი სახელწოდების კონცერტებს ჩაატარებენ „მგზავრები“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

— ჩვენი თეატრი ყველასთვის საყვარელ ჯგუფ „მგზავრებთან“ ერთად იწყებს აქციას „ერთმანეთისთვის“, რომელიც საქველმოქმედოა და მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მყოფი პატარების დახმარებას გულისხმობს. ყველა ბავშვთა სახლს საზოგადოების მხარდაჭერა და ყურადღება სჭირდება. ჩვენ გვინდა, ელემენტარული დახმარება გავუწიოთ მათ. პროექტის ფარგლებში ვეცდებით, ყველა მიუსაფარ ბავშვთა სახლს დავეხმაროთ, პირველ რიგში კი გადაწყვეტილი გვაქვს, თელავის მიუსაფარ ბავშვთა სახლს მივხედოთ, — განაცხადა მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორის მოადგილე ნინო პავლიაშვილმა.

კონცერტები 7 მარტიდან დაიწყება და ის სპეციალურად ახალგაზრდებისთვის იქნება განკუთვნილი. კონცერტებიდან შემოსული თანხის ნაწილს ორგანიზატორები მიუსაფარ ბავშვთა სახლებში გადარიცხავენ. პირველ დახმარებას „მგზავრებისა“ და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთობლივი აქციიდან თელავის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მიიღებენ.

— ვიწყებთ პროექტს „ერთმანეთისთვის“ მოზარდ მაყურებელთა თეატრთან ერთად. ის გათვლილია ბავშვებსა და მოზარდებზე. ჩვენს კონცერტებზე დასწრება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებსაც შეეძლებათ. კონცერტები საქველმოქმედო ხასიათისაა. ყოველი კონცერტიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხება სხვადასხვა ბავშვთა სახლში, — აღნიშნა ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტმა გიგი დედალამაზიშვილმა.

ჯგუფ „მგზავრების“ კონცერტები მოზარდ მაყურებელთა თეატრში ყოველდღიურ რეჟიმში გაიმართება. როგორც „ახალ თაობას“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში განუცხადეს, კონცერტები სკოლის ბავშვებისთვის იქნება განკუთვნილი და მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 12 ლარი იქნება. 19 მარტს კი „მგზავრები“ კიევში გაემგზავრებიან, სადაც კლუბ „კრისტალში“ მათი სოლოკონცერტია დაგეგმილი.

# ნელი ფურტადო კადაფის მილიონზე უარს ამბობს



კანადელმა მომღერალმა ნელი ფურტადომ თავის ბლოგში, თვითერში, განაცხადა, რომ 2007 წელს იტალიაში, ერთ-ერთ სასტუმროში, კადაფის კლანის წევრების წინაშე 45-წუთიანი გამოსვლისათვის 1 მილიონი დოლარი მიიღო და ამჟამად ამ ფულის ქველმოქმედებისათვის გაღებას აპირებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოამარ კადაფის ოჯახის წევრებისათვის გამართული კონცერტების მონაწილე მომღერლებს შორის ასახელებენ აგრეთვე ბეიონს ნოულზს, აშერს, ლაიონელ რიჩის.

კადაფის რეჟიმის მიერ საპროტესტო გამოსვლების ჩახშობას შედეგად ორი ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. თავად კადაფი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ ხალხს იგი უყვარს და გაეროს ინსპექტორებს ლიბიაში ეპატიჟება.

ამერიკული ტელეკომპანია „ეიბისის“ ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად, აპირებს თუ არა იგი გადადგომას, კადაფიმ გაიცინა და განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს და არც ქვეყანას დატოვებს.

ლიბიის ლიდერმა ასევე განაცხადა, რომ აშშ-მ მას უღალატა.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ აშშ ლიბიის გარშემო თავისი ფლოტისა და ავიაციის დისლოკაციის ცვლილებას ახდენს. ბრიტანეთის ხელისუფლებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ კადაფის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება გამორიცხული არ არის.

**გ.თ.**

# მატვეი განაპოლსკი რუსეთს არეულობას უწინასწარმეტყველებს

რუსი პუბლიცისტი მატვეი განაპოლსკი თავის სტატიაში „კრემლის თვითმკვლელები“ წერს, რომ რუსეთში არეულობა გარდაუვალია, მიზეზი კი პუტინ-მედვედევის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები გახდება.

—პუტინმა და მედვედევმა დიქტატორული რეჟიმი შექმნეს, რომლის გამოც დემოკრატიული ოპოზიციას განვითარების საშუალება არ აქვს, არის მძიმე სოციალური ფონი, კორუფციული სისტემა, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე მწვავედ აპროტესტებს, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს, არის უპერსპექტივობა და მომავალი 2012 წლის არჩევნები, რომლის გზითაც ხელისუფლების სათავეში ისევ პუტინი ან მედვედევი დარჩებიან, — აღნიშნა ავტორმა.

განაპოლსკის ვარაუდით, ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი თავის თავს თვითონ აირჩევენ და მსგავსი პერსპექტივა რუსულ საზოგადოებას ქუჩაში აუცილებლად გამოიყვანს და ისინი შეეცდებიან, რომ ხელისუფლება ერთგვარი ალტერნატიული გზით მოიცილონ.

— სოჭის ოლიმპიადის დროს მოსახლეობის გამოსვლებთან ერთად გახშირდება ტერორისტული აქტები რუსეთის ტერიტორიაზე. მათ გასამართლებლად კი რუსეთი პასუხისმგებლობას ჩრდილოეთ კავკასიელებსა და საქართველოს დააკისრებს, — აღნიშნა პუბლიცისტმა.

ცნობისთვის: პუბლიცისტ მატვეი განაპოლსკის სტატია სათაურით „კრემლის თვითმკვლელები„ „ეხო მოსკვის“ საიტზე გამოქვეყნდა.

**მედიანიუსი**

# შვეიცარიის საელჩო ხატების კონსერვაციას დააფინანსებს

ეკა ირემაშვილი

შვეიცარიის საელჩო საქართველოში მზად არის, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული XI-XII საუკუნეების ხატების კონსერვაცია დააფინანსოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი იქნება თანხა 2.000 ევროს ოდენობით. პროექტის დაფინანსება მოხდა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივის შედეგად.

— აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ვიზიტი ზემო სვანეთში, 2010 წლის სექტემბერში კი საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუას შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, სადაც დასახულ იქნა კონკრეტული გეგმები სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის რეაბილიტაციის, ასევე სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით დაგეგმილი რიგი პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# თბილისში ტანია მარია ჩამოდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თავისი განუმეორებელი სტილით ჯაზის გიტარისტის, ჩარლი ბიორდის ყურადღება მიიქცია, რომელიც იმ დროისთვის ლეიბლს ხელმძღვანელობდა. ტანიამ ალბომი ჩაწერა, მისი სიმღერები პოპულარული გახდა, ტანია მარია კი — ყველასთვის სასურველი მომღერალი.

— ფორტეპიანო ჩემთვის დასარტყამი ინსტრუმენტია. ჯერ კიდევ ჩემი მასწავლებელი მეუბნებოდა, რომ არასწორად ვუკრავდი. მაგრამ ეს თავისთავად ასე გამომდის, ჩემი ტემპერამენტიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ 32 წელია ევროპაში ვცხოვრობ, გულით ბრაზილიელად ვრჩები, — ამბობს ტანია მარია.□

ოცდამეექვსე ალბომით მომღერალმა თავის კომპოზიტორულ ნიჭსაც გაუსვა ხაზი. მისი სტილი და მუსიკა სიყვარულის ნამდვილ საიდუმლოებებს ხდის ფარდას, ამიტომაც ტანია მარიას ნებისმიერი კომპოზიცია მაყურებლისთვის დამატყვევებელია.

— ჩემს ბოლო, 26-ე ალბომს „სიახლოვე“ ჰქვია, მაგრამ ამ სიახლოვეში ნამდვილად არ ვგულისხმობ სექსს. ეს სიყვარულის შემადგენელი ნაწილია. ადამიანები აღარ არიან ისეთი რომანტიკულები, როგორც ჩემს ბავშვობაში. ჩვენ პატივისცემის ტრადიციებს ვკარგავთ. ახლა ყველაფერი სექსის ირგვლივ ტრიალებს — მუსიკა, ფილმები, ტელემაუწყებლობა. ამ ქაოსში მსურს, სიახლოვის მომხიბვლელობა შეგახსენოთ, ამისთვის კი ჩემი სიმღერის დროს ბოლომდე ვიხარჯები, — ამბობს მომღერალი.

ტანია მარია საქართველოში უკვე მეექვსედ ჩამოდის. ის უფრო ჯაზმომღერალია, თუმცა მისი რეპერტუარი ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია. პიანისტი, კომპოზიტორი და ვოკალისტი თბილისს პირველად 1995 წელს ეწვია. მან თბილისში ერთ-ერთი ვიზიტის დროს „ვარსკვლავების აკადემიის“ წევრებთან მასტერ-კლასიც კი გამართა.

ამჯერად მომღერალი საქართველოში 14 მარტს ჩამოვა, 17 მარტს კონცერტს გამართავს დიდ საკონცერტო დარბაზში, ხოლო 18 მარტს — თბილისს დატოვებს. მის კონცერტს, ტრადიციულად, „ვივა ბრაზილი“ გააფორმებს.

ტანია მარიას კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია. მისი ფასი 30-დან 100 ლარამდეა.



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სუფთა ჰაერზე სიარული, სეირნობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; 2. ყველაზე მაღალი მწვერვალი ალპებში; 3. შვეიცარიელი მხატვარი; 5. იაპონიის ჰიმნი; 7. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 9. 60-იანი წლების ცნობილი ქართველი მეკარე; 13. ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 15. აეროპორტი ლონდონში; 16. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 18. მტკვრის მარჯვენა შენაკადი ქვემო ქართლში.

**თარაზულად:** 4. თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 6. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ყველაზე მაღალი მწვერვალი აფრიკაში; 10. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 11. სასროლეთი; 12. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 14. შტატი აშშ-ში; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 19. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 20. ქართველი ფრენბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 21. დიპლომატიური წარმომადგენელი; 22. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 23. ძველბერძენი ორატორი, ფილოსოფოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლივადია; 2. ელიტა; 3. კალევალა; 4. ყარყუმი; 5. სინტოიზმი; 9. ჰაველი; 12. სინდიყი; 14. „პანედა“; 15. იორი; 17. ცვილი; 18. ანცი.

**თარაზულად:** 6. ჟიგოლო; 7. ვარიანტი; 8. შამოტი; 10. დურდო; 11. თაყაიშვილი; 13. სპანიელი; 16. „ნიმიცი“; 19. ნარიყალა; 20. საქარინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რეგენტი; 2. „სარბიელი“; 3. თიბათვე; 5. ცაიტნოტი; 7. დიოპტრი; 9. ბივშტექსი; 13. ვიოლინო; 15. ჩოლოკი; 16. ავრორა; 18. ობობა.

**თარაზულად:** 4. გენოციდი; 6. ტრაპეცია; 8. ფეტვიაშვილი; 10. საპალნე; 11. ვავა; 12. გრიზლი; 14. ოჩანი; 17. ცენტი; 19. ბლუზი; 20. სომბრერო; 21. იენი; 22. ფიუზელაჟი; 23. პალერმო.

# ანი ჟირარდო გარდაიცვალა



პარიზში ორშაბათს 79 წლის ასაკში ცნობილი ფრანგი მსახიობი ანი ჟირარდო გარდაიცვალა. ჟირარდოს ოჯახის წარმომადგენლების თქმით, მას ალცჰეიმერის დაავადება სჭირდა.

სიუზან ანი ჟირარდო 1931 წლის 25 ოქტომბერს დაიბადა. ბავშვობაში იგი ქირურგობას აპირებდა და კოლეჯის დამთავრების შემდეგ მედდების სკოლაშიც კი გააგრძელა სწავლა.

მიუხედავად ამისა, სცენაზე ოცნებამ პარიზის დრამატული ხელოვნების კონსერვატორიაში მიიყვანა, სადაც სწავლა 1952 წელს დაიწყო.

მისი პირველი როლები კინოში კრიტიკისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. პოპულარობა მას რეჟისორ ლუკინო ვისკონტის ფილმში „როკო და მისი ძმები“ შესრულებულმა ნადიას როლმა მოუტანა.

ამ ფილმში მისი პარტნიორები იყვნენ ფრანგი მსახიობი ალენ დელონი და იტალიელი მსახიობი რენატო სალვატორი.



მოგვიანებით იგი სალვატორის გაჰყვა ცოლად და მასთან გოგონა, ჯულია, შეეძინა.

1977 წელს ანი ჟირარდომ საფრანგეთის უმაღლესი კინოჯილდო, „ოსკარის“ ფრანგული ანალოგი, „სეზარი“, მოიპოვა. ეს ჯილდო მან რეჟისორ ჟან ლუი ბერტუჩელის ფილმში „დოქტორი ფრანსუა გაიანი“ შესრულებული როლისათვის მიიღო.

1980-იან წლებში ჟირარდომ შემოქმედებითი კრიზისი გადაიტანა, მოგვიანებით ქმარს გაშორდა. 1988-89 წლებში რამდენიმე ფილმში მიიღო მონაწილეობა. ეს ფილმებია: „პატიმრები“, „ერნსტ ჰემინგუეის ლეგენდარული ცხოვრება“, „ივლისის ხუთი დღე“, „სიყვარულის კომედია“. 1990-იანი წლებიდან იგი ეკრანებიდან, პრაქტიკულად, გაქრა.

ანი ჟირარდომ ორი ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა. „ყოველდღიურ საყიდლებზე თავად დავდივარ, სახლში საქმესაც თავად ვაკეთებ, გაამპარტავნებულ ვარსკვლავად თავი არასდროს მიგრძვნია“, — წერდა იგი 1999 წელს.

# ბრაზილიაში ავტომობილი ველოსიპედისტების ჯგუფს დაეჯახა

ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ველოსიპედისტთა ჯგუფს შეეჯახა. ინციდენტის შედეგად არავინ დაღუპულა, 12 ადამიანი დაშავდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მოგვიანებით ყველა დაშავებული საავადმყოფოდან გამოწერეს.

ინციდენტი პარასკევს საღამოს მოხდა. ბრაზილიის ტელეარხებმა აჩვენეს მოყვარული ვიდეოოპერატორის მიერ გადაღებულ კადრები, რომელზეც დაჯახების მომენტია აღბეჭდილი.

ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ეჯახება მანქანა ველოსიპედისტებს და ადამიანებს აქეთ-იქით ისვრის.

„ფოლკსვაგენ გოლფის“ მარკის ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა პოლიციამ მანქანა მალევე იპოვა. ორშაბათს მისი მფლობელი რიკარდუ ნეიშა პოლიციაში დაკითხვაზე მიიყვანეს.

გამომძიებელ გილბერტო მონტენეგრუს თქმით, მის ავტომობილს ველოაქტივისტები შემოერტყნენ გარს, კაკუნი დაუწყეს და ამის გამო პანიკამ მოიცვა.

ველომრბოლელების თქმით, ავტომობილისტს არავინ დამუქრებია. ველოსიპედისტთა უფლებების დაცვის აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში პერიოდულად იმართება. ხშირად ველოაქტივისტებს გზების ჩახერგვასა და ავტომობილების მოძრაობის შეფერხებაში ადანაშაულებენ. ბრაზილიის სამხრეთით მდებარე ქალაქ პორტუ-ალეგრიში გამართულ აქციაში მონაწილეობა ასზე მეტმა ადამიანმა მიიღო.

# სამგლოვიარო განცხადებები

მოულოდნელად გარდაიცვალა

**რამაზ კლიმიაშვილი**

სამოქალაქო პანაშვიდი: 2 მარტს, 16 საათზე.

გამოსვენება: 3 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №12.

დაკრძალვა: საბურთალოს სასაფლაოზე.



**მალხაზ ჭელიძის ხსოვნას!**

2 მარტი შენი დაბადების დღეა. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს ცრემლებით. მოულოდნელად მოგვატოვე და მოუშუშებელ იარად დაგვრჩი. მარადისობამ მიისაკუთრა შენი მოსიყვარულე გული. ჩვენი ნუგეში მხოლოდ ცრემლებია. გეფერებით, გვენატრება შენი სითბო და თანადგომა.

*დედა, მეუღლე, და-ძმა და პატარა ნინო*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ბელორუსია ლიბიისათვის იარაღის მიწოდებაშია ეჭვმიტანილი

სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის წარმომადგენლების განცხადებით, ლიბიის მთავრობამ სამხედრო დანიშნულების ტვირთი შესაძლოა ბელორუსიიდან მიიღო.

ეს ინსიტიტუტი იარაღით ვაჭრობის მონიტორინგს ახორციელებს.

ექსპერტების აზრით, ეს იარაღი შესაძლოა ლიბიაში მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენეს.

ინსტიტუტის მონაცემებით, ილ-76 ტიპის თვითმფრინავი ბარანოვიჩში მდებარე სამხედრო ბაზიდან ლიბიის აეროპორტ სებაში თებერვლის შუა რიცხვებში ჩაფრინდა.

რეისი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ლიბიისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს დაწესებამდე განხორციელდა.

ინსტიტუტის ექსპერტ ჰიუ გრიფიტსის თქმით, თვითმფრინავი აფრინდა სამხედრო ბაზიდან, რომელზეც მხოლოდ იარაღი და სამხედრო საჭურველი ინახება.

სებას აეროპორტი, გრიფიტსის თქმით, სამხრეთ ლიბიაში ლოჯისტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტს წარმოადგენს.

ექსპერტის თქმით, ამ ტერიტორიას აკონტროლებს ტომი, რომელიც მუამარ კადაფის უჭერს მხარს.

გრიფიტსი ამტკიცებს, რომ ლიბიის სამთავრობო თვითმფრინავი გასული კვირის განმავლობაში ბელორუსიაში ორჯერ ჩაფრინდა, თუმცა გაურკვეველია, თუ ვინ მგზავრობდა ამ თვითმფრინავით ან რა სახის ტვირთი გადაჰქონდა მას.

მანამდე ბელორუსიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მცდარი უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას ლიბიაში ბელორუსი დაქირავებულების მოქმედების, გარდა ამისა, მინსკში კადაფის ოჯახის ძვირფასეულობით დატვირთული თვითმფრინავის დაშვების შესახებ.




გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ორშაბათს შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ მედიით გავრცელდა ინფორმაცია ბელორუსიის მიერ ემბარგოს გვერდის ავლით კოტ დივუარისათვის სამხედრო ვერტმფრენების მიწოდების თაობაზე.

მინსკმა ამ ბრალდებებს დესტრუქციული საინფორმაციო თავდასხმა უწოდა.

გაეროს მონაცემებით, ბელორუსიული წარმოების სამი ვერტმფრენი ლორან გბაგბოს ძალებისათვის იყო განკუთვნილი. არჩევნებში დამარცხების შემდეგ გბაგბოს უფლებამოსილებას საერთაშორისო საზოგადოებრიობა აღარ ცნობს.

ბელორუსიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამმართველოს უფროსმა ანდრეი სავინიხმა განაცხადა, რომ ვერტმფრენების მიწოდებასთან მინსკს არავითარი კავშირი არ გააჩნია.

ბიბისის ინტერვიუში მან კოტ დივუარისათვის ვერტმფრენების მიწოდების ინფორმაციას ცრუ უწოდა და განაცხადა, რომ მისი ქვეყნის წინააღმდეგ თავისებურ ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებენ. ბელორუსული ვერტმფრენების მიწოდების ინფორმაცია გბაგბოს წარმომადგენლებმაც ანალოგიურად შეაფასეს და განაცხადეს, რომ მსგავსი ინფორმაციით ლორან გბაგბოზე თავდასხმების გამართლებას ცდილობენ.

# ირანში ოპოზიციის ლიდერები დააკავეს




ირანიდან გავრცელდა ინფორმაცია სპეცსამსახურების მიერ ოპოზიციის ლიდერების, მირ ჰოსეინ მუსავისა და მეჰდი ქარუბის დაკავების შესახებ.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ორივე პოლიტიკოსი და მათი მეუღლეები მათი სახლებიდან გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

მუსავის მომხრეების საიტებზე ნათქვამია, რომ ამჟამად მუსავი და ქარუბი თეირანის ციხეში იმყოფებიან. ისინი „სანდო წყაროების“ ინფორმაციას იშველიებენ.

მუსავის მეზობელმა ბიბისის ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ ხუთშაბათს საღამოს პოლიტიკოსის სახლთან ძალოვანი სტრუქტურების რვა მიკროავტობუსი შენიშნა.

მოგვიანებით მიკროავტობუსები ერთი მსუბუქი ავტომობილის თანხლებით იქაურობას მოშორდნენ.

იმავდროულად, ირანის საინფორმაციო სააგენტო „ფარსმა“ გაავრცელა ანონიმი ირანელი ჩინოსნის ინფორმაცია, რომელმაც დაპატიმრების ფაქტი უარყო. სააგენტოს ცნობით, ირანის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორივე პოლიტიკოსი შინ იმყოფებოდა.

ორი კვირის წინ ეგვიპტის მანიფესტაციების სოლიდარობის ნიშნად საპროტესტო აქციების გამართვის მოწოდებების გამო სპეცსამსახურებმა ოპოზიციის ლიდერები და მათი მეუღლეები შინაპატიმრობაში აიყვანეს.

14 თებერვალს მუსავისა და ქარუბის ათასობით მომხრე თეირანის ქუჩებში გამოვიდა და ეგვიპტის გამოსვლებს მხარი დაუჭირა. ამ გამოსვლებს პოლიციასთან შეტაკებები მოჰყვა. შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. ოფიციალური წყაროების თანახმად, დაპატიმრებულია 150 ადამიანი, თუმცა ოპოზიცია ამტკიცებს, რომ დაპატიმრებულთა რიცხვი ათჯერ მეტია. ირანის სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას ქვეყნის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა განაცხადა, რომ „მტრები ხალხის ბრწყინვალე ხატების შებღალვას ცდილობენ“. ირანის პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა კი ოპოზიციის ლიდერების პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.

# ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი საპროტესტო რეიტინგი აზერბაიჯანს ჰქონია

ჟურნალ „უოლ სთრით ჯორნელის“ ბლოგერმა, ფინანსურმა ჟურნალისტმა ალენ მატიჩმა შეადგინა იმ ქვეყნების რეიტინგი, სადაც, მისი აზრით, ახლო აღმოსავლეთის მასობრივი საპროტესტო გამოსვლები შეიძლება გავრცელდეს.

„უოლ სთრით ჯორნელის“ ჟურნალისტმა „საპროტესტო ინდექსი“ გამოთვალა და მის საფუძველზე 85 ქვეყნისაგან შემდგარი რეიტინგი შეადგინა, სადაც, მისი აზრით, საპროტესტო გამოსვლები ყველაზე უფრო მეტად არის მოსალოდნელი.




ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ამ სიაში მხოლოდ სომხეთი, ყირგიზეთი და მოლდოვა არ მოხვდნენ.

„საპროტესტო ინდექსის“ მიხედვით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე აზერბაიჯანი გავიდა, რომელიც საერთო რეიტინგში 78.6 ბალით მეათე ადგილზეა.

შემდეგ მოდიან უზბეკეთი, (მე-15 ადგილი, 7664 ქულა), საქართველო (მე-18, 73.4), თურქმენეთი (მე-19, 71.3), უკრაინა (22-ე, 68.2), ბელორუსი (29-ე, 65.1), ყაზახეთი (31-ე, 64.0), რუსეთი (მე-40, 58.0), ლიტვა (46-ე, 49.0), ლატვია (49-ე, 47.6), ესტონეთი (58-ე, 39.5).

პირველ ადგილზე გავიდა კენია, სადაც საპროტესტო განწყობამ 100 ბალს მიაღწია. მეორე ადგილზე კამერუნი გავიდა 94.5 ბალით, მესამეზე — პაკისტანი, რომლის „საპროტესტო განწყობა“ 90.8 ბალით შეფასდა. მათ მოსდევენ ნიგერია, ინდონეზია, მაროკო, ფილიპინები, გვატემალა და იორდანია.

საპროტესტო აქტივების ინდექსი სამი კრიტერიუმის საფუძველზე იქნა გამოთვლილი. ეს კრიტერიუმებია სოციალური უსამართლობის ხარისხი, სამოქალაქო წინააღმდეგობისადმი მოსახლეობის მიდრეკილება და გამოსვლებისადმი მზადყოფნა. ამ უკანასკნელ ფაქტორს მატიჩმა „სასხლეტი მექანიზმი“ უწოდა და მის საფუძვლად სამეურნეო ხარჯებში სურსათისა და კვების პროდუქტების წილი აიღო.

ავტორმა თავის კვლევებში აგრეთვე ივარაუდა, რომ სახელმწიფოში სოციალური უსამართლობის ხარისხი კორუფციის დონეზე იყო დამოკიდებული. მატიჩმა, გარდა ამისა, ივარაუდა, რომ ახალგაზრდობა და უმუშევრები ხანდაზმულებთან და მუდმივი სამუშაოს მქონე მოქალაქეებთან შედარებით, გამოსვლებისადმი მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ, გარდა ამისა, არც ის გამორჩენია, რომ შიმშილი ისტორიულად ამბოხებებისა და გამოსვლების მიზეზი ხდებოდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

ოთხშაბათი
2 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ისტორია **23.00** მხ. ფილმი "**ლოს-ანჯელესის სპეცრაზმი**" **01.05** მოამბე **01.25** ჩვენი ეზო **03.25** მხ.ფ."**მეგობართა წრე**" (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**ქსელი**" **01.00** მხ.ფ."**ავტოფოკუსი**" (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **16.00** სერ. "**სიყვარულის საიდუმლო**" **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მორჩენება**" **22.00** იღბლიანი შოუ **23.00** მხ. ფ. "**პატარძლის მამა 2**" (18) (დ. პლეზანსი) **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი "**გადასვლა**" (18) (დ. პლეზანსი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ."**ორნახევარი კაცი**" **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ნანუკას შოუ (გან.) **23.30** "ფეის კონტროლი" **00.30** მხ. ფილმი "**წინასწარმეტყველი**" (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **02.25** მხ. ფ. "**მისტერ და მისის სმითები**" (12) (სუბტ.) **04.25** მხ. ფ. "**დეჟა ვუ**" (12) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ."**გაზაფხული**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**ლომი ზამთარში**" **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **13.35** კონცერტი – ანს."რუსთავი" **15.05** მხ. ფ."**ჩრდილი გზაზე**" **16.25** დოკ.ფ."ველური ბუნება" **16.50** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფ. "**მაისის თოვლი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** თეოდორე ტირონი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 2 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7567

ევრო —2,3963

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8409

რუსული რუბლი — 0,0599

**ამინდის პროგნოზი 2 მარტისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 6-19, ღამით — -1-3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 4-§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -2-5, ღამით — -19 -2







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

,,სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## ასტროპროგნოზი 2 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები აღარ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი პოზიცია დააფიქსირეთ. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის ერთ-ერთი დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. სამთო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 12. უნგრელი კომპოზიტორი; 14. საზღვარგარეთის ბანკში გახსნილი ანაბარი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. ამბის მომტანი, შიკრიკი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 10. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 11. სამხედრო სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. სილამაზის, სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## პატრიარქის მოგზაურობას დოკუმენტური ფილმი მიეძღვნა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თუშეთსა და ხევსურეთში მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია „თიბისი გალერეაში" 2 მარტს შედგება.

„ავაგე ეკლესიები" — ასე ჰქვია ახალ დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც მისი უწმინდესობის საქართველოს მთიანეთში მოგზაურობა დეტალურად არის ასახული.

— არ დამავიწყდება ჩემი მოგზაურობა თუშეთსა და ხევსურეთში. ეს იყო აღდგომა, აღდგომის დღესასწაული, სულის ამაღლება... მთას მთის ხალხმა უნდა მივხედოთ. მთებში დიდი მადლია, ისინი ახლოს არიან ღმერთთან, — ბრძანა ილია მეორემ.

„თიბისი გალერეაში" დაგეგმილ ღონისძიებაზე ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის ახალი წიგნის პრეზენტაციაც არის დაგეგმილი. საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც დაესწრება.

*ეკა ირემაშვილი*

## იუმორი



მალაზიაში.

— თქვენ ამბობთ, რომ ეს პერანგი შალისაა, იარლიყზე კი აწერია „სინთეტიკა".

— ჩრჩილს ვატყუებთ...

* * *

— დოლარები ვიყიდე.

— ევრო რატომ არ იყიდე?

— დოლარი უფრო იაფია...

* * *

— ვიყიდე კურსი „ინგლისური ენა ძილის დროს". მთელი წლის განმავლობაში ძილის წინ ინგლისური ენის კასეტას ვუსმენდი. მოულოდნელი შედეგი მივიღე — ინგლისურის გაგონებაზე მაშინვე მეძინება...

* * *

— დაქორწინება თუ გადავწყვიტე, ცოლად ლამაზ, ერთგულ, ჭკვიან და კარგ მეოჯახეს მოვიყვან.

— ოთხი ცოლის მოყვანას რომ აპირებ, მუსლიმანი ხარ?

* * *

— ვატსონ, სახე ბალიშზე უფრო თეთრი გაქვთ.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს, ჰოლმს?

— ბალიშის პირი უნდა გარეცხოთ, სერ!

* * *

— კანონების არცოდნა პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლებს, ცოდნა — პირიქით.

* * *

— საყვარელო, ძალიან სქელი ვარ?

— არა, უბრალოდ, ძალიან თანაბარი ხარ...

*გ.თ.*

## საქართველოს ნაკრები ისევ მეთხუთმეტეა



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა შაბათს პორტუგალიის ნაკრები (13:12) კი დაამარცხა, მაგრამ ამით რეიტინგში ვერ იხეირა და ისევ მე-15 საფეხურზე დარჩნენ. ჩვენები წინსვლას მაშინ განაილდებდნენ, თუ პირინეელებს 15 და მეტი ქულით მოუგებდნენ.

ამ შანსის გამოსწორება „ბორჯღალოსნებს" 12 მარტს შეუძლიათ, როდესაც ერთა თასის გათამაშების მე-4 ტურში შინ რუმინელებს დაუხვდებიან. რეიტინგში წინსვლისთვის ჩვენებს ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება აწყობთ, რადგან მე-14 ადგილზე მყოფ კანადასთან სხვაობა ძალიან მცირეა.

რუმინელებთან მატჩის შემდეგ ჩვენები ვარდნას იმ შემთხვევაში განიცდიან, თუ მეტოქესთან 15 და მეტი ქულით დამარცხდებიან, სხვა მხრივ იმავე პოზიციას შეინარჩუნებენ.

რაც შეეხება საუკეთესო ათეულს, აქ უმნიშვნელო ცვლილებებია: ახალი ზელანდია-ავსტრალია-სამხრეთ აფრიკის სამეული სათავეში უცვლელად დგანან. ინგლისმა ბოლო მატჩში საფრანგეთს მოუგო და მე-4 ადგილი მეოთხეში გაუცვალა. მეექვსეზე ირლანდიელები დარჩნენ, მეშვიდეზე კი უელსმა აინაცვლა, რომელმაც არგენტინელებს გადაასწრო. მე-9-10 ადგილებზე შოტლანდიისა და ფიჯის ნაკრებები არიან. ათეულის სიახლოვეს ტრიალებს სამოას ნაკრებიც, რომელსაც ნებისმიერი წარმატების შემთხვევაში შეუძლია ტოპ-გუნდებში შეღწევა.

*მ. ჟ.*

## თბილისში ტანია მარია ჩამოდის



*ეკა ირემაშვილი*

15 მარტს თბილისში მსოფლიოში ცნობილი ბრაზილიელი მუსიკოსი ტანია მარია ჩამოვა. მომღერალი ჩვენს დედაქალაქს კომპანია „ბრავო-რეკორდსის" მოწვევით ესტუმრება და კომპანიის გახსნის ოფიციალურ პრეზენტაციაზე იმღერებს. იგი „ბრავო რეკორდსის" საპატიო სტუმარია.

17 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტანია მარია საათნახევრიან კონცერტს გამართავს, სადაც შეკრებილი მაყურებლისთვის შეასრულებს როგორც ძველ, ასევე ახალ კომპოზიციებს თავისი ბოლო ალბომიდან.

ბრაზილიელმა პიანისტმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა ტანია მარიამ პირველი ალბომი ჯერ კიდევ 37 წლის წინ ჩაწერა. იგი ბრაზილიური რიტმების, ფანკის, რიტმ-ენდ-ბლუზის, აფრო-მოტივების დედოფალია. ის ანგრევს ყოველგვარ სტერეოტიპს მუსიკალურ ჟანრებში და სცენაზე მთლიანად იხსნება.

ტანია მარია კორერა რეისმა პიანინოზე დაკვრა მამის ძალდატანებით შეისწავლა. სწორედ მან უბიძგა ქალიშვილს მუსიკალური კარიერის შექმნისკენ და ამისათვის საჭირო ძალა და თვითრწმენაც შემატა. გოგონამ იურისპრუდენცია შეისწავლა, თუმცა მუსიკის მიმართ მისწრაფება არ განელებია, სან-პაულოსა და რიო-დე-ჟანეიროს კლუბებში გამოდიოდა და ნელ-ნელა აუდიტორიას იპყრობდა.

მოგვიანებით მიიღო გადაწყვეტილება და პარიზში ევროპის დასაპყრობად გაემგზავრა. „ეს იყო ომის დიქტატურის დრო. მე მუსიკას ძლიერი ჯაზური აქცენტით ვასრულებდი, რასაც ბრაზილიელები ვერ იგებდნენ, თუ რატომ უნდა შემესრულებინა ამერიკული მუსიკა, როდესაც ბრაზილიური მუსიკა ასეთი მიმზიდველი იყო. ჯაზმა მაიძულა, გავზრდილიყავი. მან თავისუფლება მომცა, — ასე იხსენებს ტანია იმ დროს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ტესტი: თქვენი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ



1. თუ გიგრძვნიათ ოდესმე, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
2. თუ გაქვთ აუხდენელი ოცნებები?
3. თუ გაგჩენიათ გრძნობა, რომ ცხოვრების ორომტრიალის მიღმა დარჩით?
4. თუ გაქვთ ნიჭი, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ?
5. იმედის თვალით უყურებთ მომავალს?
6. თუ აკეთებთ ამჟამად იმ საქმეს, რომელზეც ოცნებობდით?
7. თუ გაღიზიანებენ სხვა ადამიანები?
8. ხშირად ხართ მოწყენილი?
9. თუ გიგრძვნიათ ოდესმე ისეთი იმედგაცრუება, რომ ყვირილი მოგდომებიათ?
10. თუ გაგჩენიათ ადამიანისთვის გარტყმის სურვილი?
11. ზოზინებს უხეშად თუ ეპყრობით?
12. მომთმენი თუ ხართ?
13. გაკმაყოფილებთ საკუთარი სექსუალური ცხოვრება?
14. თუ ისურვებდით, რომ მეტი მოვალეობა გქონდეთ?
15. ამაყობთ თქვენი მიღწევებით?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-3, 5, 6, 12, 13 შეკითხვებისა):*

**0-4 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილია. სიცოცხლისაგან სიამოვნებას იღებთ.

**5-8 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილი არ არის, თუმცა, არც ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ალბათ, ჯობდა, თქვენი ცხოვრების კონტროლი გაგეძლიერებინათ. გაიხსენეთ, რა ამბიციები გქონდათ.

**9-15 ქულა:** თქვენი ცხოვრება იმედგაცრუებით არის სავსე. ნუ ზიხართ გულხელდაკრეფილი, ნუ ელით, თითქოს რაიმე თავად მოხდება. თუ თავად გახდებით საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონი, არაფერს წააგებთ, უარეს შემთხვევაში, საკუთარ თავს მაინც დააბრალებთ მარცხსა და წარუმატებლობას.

*გ.თ.*